# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 22 აგვისტო, 2007 წელი.

№ 162 (5763)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## „დიდი რბევა“ გრძელდება





# ეროვნული დაუმორჩილებლობა – ხელისუფლებას! –

## აცხადებენ ქართველი მწერლები

ეს მწერლებიც კი გულუბრყვილოები გამოდგნენ – სასამართლოს აღსრულებამდე ვერ გამოგვასახლებენ მწერალთა სახლიდანო, რომ განაცხადეს რამდენიმე დღის წინათ. რის სასამართლო, რა სასამართლოს გადაწყვეტილება! გუშინ, დილის 4 საათზე პოლიცია შეიჭრა ამ ისტორიულ შენობაში და იქაურობის დაცლა მოსთხოვა მწერლებს...

...მაჩაბლის ქუჩაზე ლერმონტოვის ქუჩის გადაკვეთამდე მისვლა შეგვეძლოთ, იქ კი მაჩაბლის ქუჩა მთელ სიგანეზე იყო ჩახერგილი და პოლიციის კორდონი იდგა. ასევე გადაკეტილი იყო ყველაფერი მწერალთა სახლის სიახლოვეს.

ცნობილ რკინის კართან სატვირთო მანქანა დგას და მწერლები ზედ აწყობენ თავიანთ ბარგს, ჩვენთა დიდთა წინაპართა ნალოლიავებ ისტორიულ ნივთებს. სად მიდიან, რას აპირებენ, კაცმა არ იცის...

იხ. 2 გვ.


ბევრ რამეს დაეუფლა ეშმაკი საქართველოში 4

ქართული მხარის ვერსიამ ვერანაირ კრიტიკას ვერ გაუძლოო 10

გლეხებს უკვე ბაზარში შესვლა კი არა, ქალაქში ჩამოსვლაც უჭირთ 7

● იფხიზლეთ, რადგან, მაწანწალა ძაღლების გარდა, ცოფი შეიძლება ქალაქების ქუჩებში მომრავლებულმა ტურებმა ან ღამურებმა შეგყარონ, ხოლო სახადივით მოდებული ტუბერკულოზისგან დაცვა თითქმის შეუძლებელია. ამას კი ზედ, შესაძლებელია, მუცლის ტიფიც დაერთოს



თედო ნიკოლაიშვილის ფოტო

◎ „დიდი რბევა" გრძელდება

# ეროვნული დაუმორჩილებლობა — ხელისუფლებას!

## ახსადებენ ქართველი მწერლები

(პირველი გვერდიდან)

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერი ირაკლი წერეთელი დგას „გამოღმა" მხარეს, იგი თურმე, აგრძელებს უვადო შიმშილობას ამ ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით და ბოლომდე უნდა მივაწვეთო, შეუპოვრად ამბობს.

აფხაზეთიდან დევნილ პოეტს, ჟურნალ „რიწის" მთავარ რედაქტორს გივი ბერაიას სულ ერთ პატარა ჩანთაში ჩაუტევია თავისი ბარგი-ბარხანა. რედაქცია აქამდე მწერალთა სახლს იყო შეფარებული და შესანიშნავ ჟურნალს სცემდა, აწი რა იქნება, არ ვიცი, თუ გამიშვებენ, წავალ სოხუმშიო, სიმწრის ღიმილი დასთამაშებს სახეზე გივი ბერაიას.

მე კორდონს „გაღმა" არავინ გამიშვებს და იქეთ მოფუსფუსე მეგობარ პოეტებს გენო კალანდიასა და ვაჟა ოთარაშვილს ვთხოვ, ჩემკენ „ჩამოიჩოჩონ". გისოსებს მიღმა, როგორც პატიმრებს, ისე ვესაუბრები.

**გენო კალანდია:** „ასეთი რამ არ ჩაუდენია მუსოლინისა და ჰიტლერის ხელისუფლებას!.. არაფერი ამათთან არ გამოდის!.. სხვათა შორის, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქციასაც ასახლებენ ლერმონტოვის ქუჩიდან!

**ვაჟა ოთარაშვილი:** „ჩვენ მოვიგეთ ერთი სასამართლო, კიდევ გვქონდა სარჩელი შეტანილი, რომლის აღსრულებამდე ამ „მანქურთებს" არ ჰქონდათ შენობაში შემოსვლის უფლება!.. უნდა გითხრათ, რომ საზღვარგარეთის 184 მწერალთა ორგანიზაციამ, გაერთიანებამ, ცალკეულმა მწერლებმა გამოგვიგზავნეს მხარდაჭერის და გამხნევების წერილები, მაგრამ ვინ დაგიდევს!.. ჩვენ აუცილებლად გავასაჩივრებთ სტრასბურგში, ხოლო დღეიდან ეროვნულ დაუმორჩილებლობას გამოვუცხადებთ ამ „მანქურთების" ხელისუფლებას!"

ქარავანი კი მიდის, დიდი რბევა გრძელდება!

**ვილენ მარდალეიშვილი**

◎ კანონმდებლები

# ასეთი საშინელი ღამე მხოლოდ 9 აპრილს იყო

**მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა მაჩაბლის № 13-დან გამოსახლების ფაქტთან დაკავშირებით პრესისთვის ოფიციალური განცხადება გააკეთა.**

— გაუგონარი რამ მოხდა, ჩემს მეხსიერებაში ასეთი საშინელი ღამე მხოლოდ 9 აპრილს იყო. დღეს საქართველოში საბოლოოდ მოკვდა იმედი, საბოლოოდ მოკვდა მომავლის რწმენა. ტიციან ტაბიძე, რომელმაც შექმნა მწერალთა კავშირი, ამბობდა, რომ თუ ვინმეს საქართველოს მოკვლა სურს, პირველ რიგში მწერლები უნდა მოკლანო. სწორედ ასეთი ვანდალური აქტი განახორციელა საქართველოს ხელისუფლებამ, — აღნიშნა მაყვალა გონაშვილმა.

მან მომხდარზე პასუხისმგებლობა შემოქმედებითი ინტელიგენციის იმ წარმომადგენლებსაც დააკისრა, რომლებიც, მისივე თქმით, საქართველოს კულტურის მინისტრთან




მოლაპარაკებებზე მივა და მასთან ერთად რაიმე მიღებას დაესწრება.

— შემირცხვენია ის ქართველი, ვინც ასეთი გზით მოპოვებული ფულით დაიწყებს ხვალინდელი საქართველოს შენებას. შემირცხვენია ის საქართველო, რომელიც მწერალთა გაყიდვიდან შესული ფულით ააშენებს მომავალს, — განაცხადა გონაშვილმა.

მისივე თქმით, მწერალთა კავშირში სამი ორგანიზაცია ფუნქციონირებდა — მწერალთა კავშირი, აფხაზეთისა და საინგილოს მწერალთა კავშირები.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარის განცხადებით, გამორიცხული არ არის, ნადირობა სწორედ ამ ძვირფას ნივთებზე დაიწყოს. — აქ არის დიდი ქართველი მწერლების ავტოგრაფები, რარიტეტული ნივთები, წიგნები, აქ ინახება დავით სარაჯიშვილის მემორიალური და ანტიკვარული ნივთები, — აღნიშნა გონაშვილმა.

ამასთან, ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები არ აკონკრეტებენ, როდის აიხსნება ლუქი აღნიშნული ნივთებიდან.

**ინტერპრესნიუსი**

◎ ბაღაფშის „სამოთხე"

**გახურებული საკურორტო სეზონია. უამრავი ხალხი მიილტვის ზღვისკენ. ერთ-ერთი სანატრელი დასასვენებელი კი საბჭოეთში აფხაზეთის შავი ზღვის სანაპირო იყო. სეპარატისტები საჯაროდ აცხადებენ, ჩამობრძანდით, კომფორტი, სიიაფე და უსაფრთხოება გარანტირებული გაქვთო.**

მართლაც ასეა? ნამდვილად რა დგას ამ პათეტიკური განცხადებების მიღმა?

ვინც იწვნია, ამტკიცებენ, და ამას „გრუზია Online" გადმოგვცემს, თუ შვებულების აფხაზეთში გატარება განიზრახეთ, ძალზე იფრთხილეთ, რადგან იქიდან ჯანსაღად დაბრუნება თითქმის შეუძლებელიაო.

რატომ?

უპირველესად, კოლოების მთელი ღრუბლების გამო. მალარიისგან კი ვერავითარი ვაქცინაცია ვერ დაგიცავთ. მაგრამ აუცილებლად აიცერით დიფტერიის, ა ჰეპატიტის, გაშეშების წინააღმდეგ. კიდევ ე. წ. დენგუს ციებ-ცხელება და აფხაზური ენცეფალიტი „ჩაგისაფრდებათ". ამიტომ საღამოობით გრძელი მკვრივი ქსოვილის შარვლები და პარანგები ჩაიცვით, ღამ-ღამობით კი ფანჯრები ჩარაზეთ. თუ სიცხისგან დაიხუთეთ, მოსკიტების საწინააღმდეგო ბადე ჩამოკიდეთ. ოღონდ, დარწმუნდით, რომ გახეული არსადაა. თუმცა, ზოგი სახეობის კოღო დღისითაც იკბინება...

მალარიით მსოფლიოში ყოველწლიურად 300 მილიონი ადამიანი ავადდება და მილიონზე მეტი იღუპება. აფხაზეთში კი სწორედ ლეტალური აღსასრულის — ცერებრალური მალარიის გამომწვევი კოღოა მომრავლებული. ამ საშინელების ბუდე ბზიფის აუზია. ეს მდინარე კი სულ რაღაც 50 კილომეტრითაა დაცილებული 2014 წლის ოლიმპიადის დედაქალაქ სოჭიდან.

ე. წ. აფხაზური ენცეფალიტს ერთგვარი სეზონურობა ახასიათებს. იგი ყველაზე აქტიური ივლის-აგვისტოსექტემბერშია. აფხაზეთის პირობებში მისი დიაგნოსტიკა გამორიცხულია. დენგუს ციებ-ცხელება კი სეპარატისტებს (და, სამწუხაროდ, დამსვენებლებსაცძ არაკანონიერმა მიგრანტებმა „უფეშქაშეს" ახლო აღმოსავლეთიდან, იორდანიიდან, ეგვიპტიდან, სირიიდან თუ ლიბანიდან.

ა ჰეპატიტის მატარებელი, პრაქტიკულად, აფხაზეთის მთელი მოსახლეობაა. ამიტომ აუცილებლად აიცერით, თორემ მერე დაავადებული ღვიძლის „ჭკუაზე მოყვანა" ძალზე ძნელია. რეკომენდებულია თან სასმელი წყლის ჩატანა და ხილის გულდასმით გარეცხვა, რადგან აფხაზეთში ნიადაგს დაუმუშავებელი ფეკალიებით ანოყიერებენ.

იფხიზლეთ, რადგან, მაწანწალა ძაღლების გარდა, ცოფი შეიძლება ქალაქების ქუჩებში მომრავლებულმა ტურებმა ან ღამურებმა შეგყარონ, ხოლო სახადივით მოდებული ტუბერკულოზისგან დაცვა თითქმის შეუძლებელია. ამას კი ზედ, შესაძლებელია, მუცლის ტიფიც დაერთოს.

ქოლერაც ყოველწლიურად იჩენს

## მალარია, ქოლერა, შიდსი, ბოევიკები, მორიელები — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!

**აფხაზეთი ადამიანთა ორგანოებით ვაჭრობაში მსოფლიო ლიდერია; ამიტომ იქაურობას ბავშვები არ გააკაროთ!**

ხოლმე თავს აფხაზეთის ნაპირებთან, რადგან ყველა ჩამდინარე წყალი გაუწმინდავად იღვრება ზღვაში. ამიტომ, ან სულაც ნუ იბანავებთ, ან ეცადეთ, რომ ცურვისას წყალი არ ჩაყლაპოთ.

სექსზეც უკაცრავად უნდა იყოთ. ვენდაავადებების მთელი თაიგული დაგხვდებათ — ათაშანგი, ჰონორეა, შიდსი და ა. შ. პრეზერვატივები კი უხარისხოა.

ფერს რომ დააყენებთ, ჩაიდანს თავღიას ნუ დატოვებთ, რადგანაც ეს არომატი რატომღაც ძალზე იზიდავს მორიელებს...

ამ უმძიმეს ფონზე კი აფხაზეთში არაა კვალიფიციური სამედიცინო კადრები და ვარგისი სამკურნალო დაწესებულებები. თუ მკურნალობა დაგჭირდათ, რუსეთში დაგაბრუნებენ. ესეც იმ შემთხვევაში, თუ საამისო „ზურგი" გაქვთ.



აფხაზეთში ყველანაირი კრიმინალური ბიზნესია „განავარდებული". ამიტომ, რაც კი რამ გამოყენებისთვის უვარგისია, იქ საღდება. მათ შორის — წამლებიც. იქაური ე. წ. მეაფთიაქეები ისე დახელოვნდნენ წამლების ვარგისიანობის ვადის გადაკეთებაში, სპეციალური აპარატურაც კი ძნელად გამოავლენს სიყალბეს.

თუ ზემოაღწერილს გადაურჩით, ავარიაში დაღუპვის დიდი შანსი მაინც გრჩებათ. მძღოლები ან კაიფში არიან, ანდა — გაგლეჯილი მთვრალები. ამიტომ პატარა აფხაზეთში ყოველწლიურად ათასობით ადამიანი იღუპება ავარიებში. ამიტომ, აჯობებს, თუ საღამოობით და ღამ-ღამობით არც იმგზავრებთ და „ბულვარზე" სეირნობასაც მოერიდებით.

შეიძლება ბედმა გაგიღიმოთ და ავარიებსაც გადაურჩეთ, მაგრამ ქალების, ბავშვებისა და მოხუცების სისხლში განბანილი 5000 თავის ნებაზე მიშვებული ნარკომანი ბოევიკის ბრჭყალებიდან დაღწევა მართლაც ძალზე გაგიჭირდებათ. აგერ, სულ ახლახან რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს კანცელარიის მუშაკი ჟანა მირონოვა, თავის ადგილობრივ კავალერთან ერთად სოხუმის სანაპიროზე რომ სეირნობდა, გაძარცვეს და, თანმხლებთან ერთად, ზღვაში გადააგდეს. ჟანამ კი გამოცურა, მაგრამ კაცი დაიხრჩო.

ასევე, ძალზე წინდახედულად მოიქცევით, თუ აფხაზეთში სათანადო სამედიცინო ცნობით მომარაგებული ჩახვალთ, საცა აღნიშნული იქნება, რომ არაფრად გივარგათ გული, ფილტვები, თირკმელები და სხვა შინაგანი ორგანოები. ეს ადამიანთა ორგანოებით მოვაჭრეთაგან დაგახსნევინებთ თავს, მაგრამ ბავშვებს რას უშვებით? ამიტომ დაჟინებით გაფრთხილებთ, ნუ გაწირავთ პატარებს და აფხაზეთში ნუ ჩაიყვანთ, რადგან ადამიანთა ორგანოებით ვაჭრობაში აფხაზეთი მსოფლიოში ლიდერობს.

ჰო, არ დაგავიწყდეთ: პლაჟზე სახალისოდ ღრმად ნუ ამოთხრით სილას. შეიძლება გახრწნილ გვამებს გადააწყდეთ — პლაჟებს ხომ სეპარატისტთა მხეცობას შეწირული მოსახლეობის მასობრივად დასამარხავად იყენებდნენ.

ახლა კი თქვით, გინდათ აფხაზეთში დასასვენებლად ჩასვლა? ისიც იცოდეთ, რომ ჩასულნი თავპირისმტვრევით გარბიან ბაღაფშის „სამოთხიდან".

**კონსტანტინე გურგენიძე**

№ 162. ოთხშაბათი, 22 აგვისტო, 2007 წელი.

● კერძოდ, რა მექანიზმებით დაუშვებს ხელისუფლება ზურაბიშვილს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, ამას მიხეილ მაჭავარიანი ჯერჯერობით არ აკონკრეტებს, მაგრამ რაც თქვა, უკვე რაღაცაზე მიანიშნებს



◎ თანამშრომლობა

# ორმხრივად საჭირო კონტაქტები

**ამას წინათ, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნორმალის ცენტრალურ უნივერსიტეტს შორის ხელშეკრულება გაფორმდა. საქართველოს მხრიდან მას ხელი მოაწერა ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა გივი გავარდაშვილმა, ჩინეთის მხრიდან კი — ნორმალის ცენტრალური უნივერსიტეტის გარემოს დაცვისა და ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, პროფესორმა უიჯინ ვუმ.**

**საზეიმო ცერემონიას ესწრებოდნენ ჩინეთის საელჩოს წარმომადგენლები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი ოთარ ნათიშვილი და წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკები.**

**ბატონ გივი გავარდაშვილს ერთადერთი კითხვით მივმართეთ:**



**— რაღა მაინც და მაინც ჩინეთი? როგორ მოახერხეთ კონტაქტების დამყარება საქართველოდან ასე შორს მდებარე ქვეყნის უნივერსიტეტთან?**

— 2006 წლის ივნისში ლექციების წასაკითხად მიმიწვიეს გერმანიაში, ჰესენის უნივერსიტეტში. თემა იყო „სამხრეთ კავკასიაში ბუნების სტიქიური მოვლენების პროგნოზირება-გაანგარიშების მეთოდები და მათი საწინააღმდეგო ღონისძიებების პროექტირება". იქ ჩინეთის წარმომადგენლებიც იყვნენ. მათ შორის ბატონი უიჯინ ვუც. გავიდა რამდენიმე თვე და მოწვევა უკვე ჩინეთიდან, ქალაქ ვუჰანიდან მივიღე. მასში 8 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და ათი უნივერსიტეტია. ძალზე საინტერესო შეხვედრები მქონდა. ჩინელები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ გარემოს დაცვას. იქ მდინარე იანძის წყალშემკრები აუზია და სწორედ ისეთივე პრობლემები აქვთ, როგორიც საქართველოში. სწორედ ჩემი ვიზიტის შემდეგ შემოგვთავაზეს თანამშრომლობა. განზრახული გვაქვს მეცნიერთა გაცვლა, ერთობლივი გრანტებისა და პროექტების მომზადება, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება და ა. შ... მოგეხსენებათ, ჩინეთის ეკონომიკა სწრაფი ტემპით ვითარდება. იმედია, ამ ქვეყნის ეკონომიკის სამინისტრო ხელს შეგვიწყობს გეგმების განხორციელებაში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩის მრჩეველმა ცაო იუნ ლუნმა საზეიმო ცერემონიაზე თქვა: „ძალიან დიდი პატივია, რომ ასეთი დოკუმენტის გაფორმებას ვესწრები. იმედი მაქვს, რომ ქართველი და ჩინელი მეცნიერების თანამშრომლობა სიკეთეს მოუტანს ჩვენს ქვეყნებს".

ცერემონიის დასრულების შემდეგ, სტუმრებმა დაათვალიერეს ინსტიტუტი, მათ შორის მსოფლიოში უნიკალური ჰიდროტექნიკური ლაბორატორია.

**ხათუნა ჩიგოგიძე**



◎ აქტუალური თემა

# ხელისუფლება ზამთარ-ზაფხულ კურორტებზე იქნება

**გამყრელიძისთვის რესპუბლიკელები არ გაიცხელებენ თავს, ბერძენიშვილისთვის კი – მემარჯვენეები...**

**საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ქონების ის ნუსხა, რაზეც სასამართლო დავა ან ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს, ოპოზიციის ვნებათაღელვის საგანი კვლავაც დიდხანს იქნება. მსგავსი ობიექტების რაოდენობა დაახლოებით შვიდი ათასია, რაც იმის წინაპირობად შეიძლება ჩაითვალოს, რომ შვიდი ათას ადამიანს საკუთრება ჩამოერთმევა. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობს ოპოზიცია.**

შეგახსენებთ: 2007 წლის 26 ივლისს ძალაში შევიდა კანონი ქონების ლეგალიზების შესახებ. ამ კანონის თანახმად, საქართველოს პარლამენტს უნდა წარდგენოდა იმ ქონების ნუსხა, რომელზეც საკუთრების უფლების ან საკუთრების შეძენის საფუძვლის გაუქმების შესახებ ამ კანონის ამოქმედების მომენტისთვის სასამართლო დავა მიმდინარეობდა. არავინ ელოდა, რომ პარლამენტის ვებ-გვერდზე სამასგვერდიანი მასალა დაიდებოდა, ინფორმაციამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ოპოზიცია აცხადებს, რომ სამასგვერდიან ჩამონათვალში, ძირითადად, ის საკუთრება ფიგურირებს, რაც ძვირადღირებულ და საკურორტო ზონებშია და პირდაპირ ხელისუფლების ინტერესებში ჯდება.

მესაკუთრის უფლებების დაცვა კვლავაც იკისრეს ახალმა მემარჯვენეებმა. მათ მოუწოდეს ყველა მოქალაქეს, დროულად გააგებინონ პარლამენტს, თუკი ამ სიის საფუძველზე მოუნდომებენ ქონების ჩამორთმევას. მიმართავენ თუ არა საჩივრებით მოქალაქეები პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტს, როგორც მათ მემარჯვენეებმა ურჩიეს, ამას საშემოდგომო სესიაზე შევიტყობთ. ეს თემა რომ ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური იქნება, ცხადია.

—სავარაუდოა, რომ საპრივატიზებო ქონების ნუსხაში შევა თითქმის მთელი გუდაური, ბაკურიანი, ბაზალეთის ტბის მიმდებარე ტერიტორია, კუს ტბა, აბასთუმანი, ხელვაჩაური, გონიოს, კვარიათის მიწები. ესაა იმ ქონების არასრული ნუსხა, რაც სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნდება იმ მიზნით, რომ შემდეგ, როგორც მოესურვებათ, ისე გაასხვისონ, — აცხადებს რესპუბლიკელების ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი. იგი ამბობს, რომ პარლამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ქონების ნუსხის მიხედვით, პრაქტიკულად ზამთარ-ზაფხულის მთელი საკურორტო ინფრასტრუქტურა სრულადაა ათვისებული...

ოპოზიციის აზრით, მოახლოებული არჩევნების პიროვნებში ასეთი ქმედებით ხელისუფლებამ საკუთარი ანტირეკლამა გამოუვიდა, რაც მას დადებით მესიჯს არ მოუტანს.

არჩევნები მართლაც მოახლოვდა, ამიტომ ზოგ სიახლეს უნდა ველოდოთ. კერძოდ, სავარაუდოა, ხელისუფლებამ ბიზნესი საკანონმდებლო დონეზე წაახალისოს, კულუარებში ამაზე უკვე აქტიურად ლაპარაკობენ.

მსჯელობენ იმის შესახებაც, რომ, შესაძლოა, ხელისუფლებამ სალომე ზურაბიშვილს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარი არ უთხრას. ვიცე-სპიკერმა განაცხადა კიდეც, არ არის საჭირო ოპოზიციის მხრიდან ზედმეტი ემოციების გამოვლენა. თუ ზურაბიშვილს ნამდვილად სურს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა, მას პრობლემა არ ექნებაო. კერძოდ, რა მექანიზმებით დაუშვებს ხელისუფლება ზურაბიშვილს 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, ამას მიხეილ მაჭავარიანი ჯერჯერობით არ აკონკრეტებს, მაგრამ რაც თქვა, უკვე რაღაცაზე მიანიშნებს.

პრეზიდენტობის კანდიდატებზე საინტერესო მოსაზრება გამოთქვა კახა კუკავამ. სახელდობრ, პარტიების კანდიდატებს პოლიტიკური სპექტრის კონსოლიდაცია გაუჭირდებათო. კონსერვატორების ერთ-ერთი ლიდერის აზრით, არც ერთი პარტია არ იმუშავებს ხალისით სხვა პარტიის ლიდერისთვის. კუკავა მიიჩნევს, რომ როგორც გამყრელიძისთვის არ გაიცხელებენ თავს რესპუბლიკელები, ისე, ალბათ, მემარჯვენეებიც არ გაიცხელებენ თავს ბერძენიშვილისთვის და ა.შ. გამოსავალს კი იგი ისეთ საზოგადოებრივ, მორალურ ავტორიტეტში ხედავს, რომელიც არც ერთ კონკრეტულ პარტიასთან არ იქნება ასოცირებული.

— ასეთი, ალბათ, შეიძლება იყოს ბადრი პატარკაციშვილი, მაგრამ, როგორც ცნობილია, ის არ აპირებს უშუალოდ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართვას, — აღნიშნავს კუკავა. მის ამ მოსაზრებაში საინტერესო იმის აღიარებაა, რომ პარტიულ კანდიდატებს პოლიტიკური სპექტრის კონსოლიდაცია გაუჭირდებათ. საინტერესოა, ასეთი ოპოზიცია მომავალ არჩევნებში რა რესურსებით გეგმავს გამარჯვებას?



**მზია გელენავა**

◎ ინფორმაცია

## წერეთელი შიმშილობას განაგრძობს

**„ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის" ლიდერი ირაკლი წერეთელი მაჩაბლის ქ. № 8-დან პარტიის გამოსახლებას უკანონოს უწოდებს.**

როგორც ირაკლი წერეთელმა განაცხადა, შენობაში პარტია 1992 წლიდან იმყოფება. "ჩვენ შენობა, 500 კვ. მ. ფართი ბალანსიდან ბალანსზე სახელმწიფოსგან გადმოგვეცა, მაგრამ მისი პრივატიზება არ მოგვიხდენია. ბოლო 6 თვის განმავლობაში პრეზიდენტ სააკაშვილსა და ეკონომიკის მინისტრს გიორგი არველაძეს სამი წერილი გავუგზავნეთ პრივატიზაციის მოთხოვნით, თუმცა მათგან პასუხი არ მოგვიღია", — აღნიშნა მან.

მისივე თქმით, ეკონომიკის სამინისტროსგან წერილი შენობის დაუყოვნებლივ დაცლის შესახებ რამდენიმე დღის წინათ მიიღეს.

ამასთან, ირაკლი წერეთლის განცხადებით, უკვე მესამე დღეა, შიმშილობს და შიმშილობას მოთხოვნების შეუსრულებლობამდე გააგრძელებს. იგი ხელისუფლების გადადგომას ითხოვს.

როგორც წერეთელმა აღნიშნა, შიმშილობა შენობიდან პარტიის გამოსახლებას არ უკავშირდება.

**ინტერპრესნიუსი**

● როცა ასეთი მდგომარეობაა, რა ქნას ბატონმა კახა ბენდუქიძემ? რაც იცის, იმას „თამაშობს“. ან სად არის იმის გარანტია, რომ ხვალ ბატონი კახა არ იტყვის, მიწის საკითხში არც ფორმით და არც შინაარსით მართალი არ ვიყავიო?



## ◎ ინფორმაცია

### მიომარ ზუზული წითელუბანში ჩავიდა

**ეუთოს სპეციალური წარმომადგენელი, ხორვატიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი მიომარ ზუზული გუშინ გორის რაიონის სოფელ წითელუბანში, სარაკეტო თავდასხმის ადგილზე ჩავიდა.**

ეუთოს წარმომადგენელი გაეცნო იმ დასკვნებსაც, რომლებიც საერთაშორისო ექსპერტებმა მოამზადეს.

ამასთან, მიომირ ზუზული უკვე შეხვდა თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, ასევე კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის წარმომადგენლებს.

როგორც ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განთავსებული ქართული სამშვიდობო ბატალიონის მეთაურმა მამუკა ყურაშვილმა განაცხადა, ზუზული გაეცნო ყველა არსებულ მასალას.

### ჩურკინი ბრალდებებს პასუხობს

**რუსეთის მუდმივი წარმომადგენელი გაეროში ვიტალი ჩურკინი კოლეგების წინაშე წარსდგა და საქართველოში არსებულ ვითარებაზე ისაუბრა.**

რუსული საინფორმაციო სააგენტოების ინფორმაციით, ჩურკინი საჯაროდ უპასუხებს ყველა ბრალდებას, რომლებსაც საქართველო რუსეთის სამხედრო საჰაერო ძალებს საქართველოს ტერიტორიების დაბომბვასთან დაკავშირებით აყენებს.

სააგენტოების ცნობით, ჩურკინის პასუხები რუსი ექსპერტების მიერ მოპოვებულ ფაქტებზე იქნება დაფუძნებული.

ამასთან, რუსეთის თავდაცვის სამინისტრო საქართველოს ტერიტორიაზე 6 აგვისტოს ანტისარადარო რაკეტის ჩამოგდებას კატეგორიულად უარყოფს.

### ოსებმა აჩაბეთს ცეცხლი გაუხსნეს

**გუშინ დიდი ლიახვის ხეობაში, ქართულ სოფელ აჩაბეთის მიმართულებით ოსურმა მხარემ ცეცხლი გახსნა.**

სროლები ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებად სოფელ კვერნეთიდან, დაახლოებით, 10 წუთი გრძელდებოდა.

ისროდნენ მსხვილკალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღებიდან. სხეულის დაზიანება არავის მიუღია, თუმცა აჩაბეთში დისლოცირებული ქართულ სამშვიდობო ბატალიონის შენობას ნატყვიარები ემჩნევა.

ოფიციალური კომენტარები მომხდართან დაკავშირებით არ გაკეთებულა. მოსახლეობა მომხდარის გამო შეშფოთებულია.

**ინტერპრესნიუსი**

## ◎ თემა

# ბევრ რამეს დაეუფლა ეშმაკი საქართველოში

### ფორმით – მტყუანი, მაგრამ შინაარსით – მართალი

**ასე დაახასიათა თავისი პიროვნება ბატონმა კახა ბენდუქიძემ 2007 წლის 23-29 ივლისის გაზეთ „კვირის პალიტრაში“, უფრო ზუსტად, კორესპონდენტის შეხსენებაზე – „თქვენ პირდაპირ ეთერში შეიგინეთ“, ბატონმა კახამ უპასუხა: „მაშინ მართალი არ ვიყავი... ფორმით, მაგრამ შინაარსით მართალი ვიყავი“.**

**„გატეხა“ ბატონმა კახამ, ხელისუფლებას და საზოგადოების რაღაც ნაწილს იგი ყოველთვის მართალ კაცად ჰყავდა მიჩნეული, მაგრამ, რადგან ბატონი კახა „სადღაც რაღაცაში“ არ არის მართალი, ეს არა მარტო მისი, არამედ მთელი სახელისუფლო გუნდის პასივია.**

### „შენ მუჭა-მუჭა გაგიტანეს საქართველოდან, ალბათ ამიტომ დაპატარავდი“

**ამ სტრიქონებს დღეს აზრი დაეკარგა. ახლა სხვა დროა. საქართველოდან წასულებს სიკვდილის შემდეგ გულზე დასაყრელი მიწა მუჭა-მუჭა აღარ გააქვთ. მიწის მიმართ დღეს სულ სხვა დამოკიდებულებაა. საინტერესოა ბატონი კახას აზრი მიწაზე:**

„ვისაც უნდა ეკუთვნოდეს მიწა დიდუბეში, ის მაინც საქართველოს, თბილისის ნაწილი იქნება“.

„იქ, სადაც იაპონელი იყიდის ერთ ჰექტარ მიწას, იაპონია არ გაჩნდება“.

რა გნებავთ, ბატონებო? იცის კაცმა და... რატომ უნდა გაგვიჩნდეს რაიმე შეკითხვა? ბატონმა კახამ არ ბრძანა (რეზერვში შეინახაძ, რომ ის მიწა დიდუბეში, ვისაც უნდა ეკუთვნოდეს, საბოლოო ანგარიშით მაინც მიწა იქნება.

მაგრამ ეშმაკმა წაიღოს უზნეო პოლიტიკოსები და ჩვეულებრივი მოკვდავიც, მიწის ნაკვეთი რომ ვერ მიიღეს, ვერც შეისყიდეს და ვერც სხვა სამუშაო იშოვნეს, იმიტომ გაიქცნენ ჩვენი ბოლნისელი ნაცნობები უცხო ქვეყანაში. რუსეთში, სამარის ოლქში მიიღეს მიწის ნაკვეთები (არ უყიდიათძ, სახლები აიშენეს, საქონელი გაიჩინეს და იქ დასაქმდნენ. ისინი დაბრუნდებიან თუ არა საქართველოში, მათ ახლობლებს ამის შეკითხვას ვერავინ უბედავს.

ისეთები, რომლებსაც გაქცევაზე უჭირავთ თვალი, დღესაც ბევრია ბოლნისის რაიონში და ეს იმ დროს, როცა კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების 70 პროცენტი სარწყავ ზონაში წლების განმავლობაში არ მუშავდება.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა სხვა რაიონებშიც. ცხადია, მიწასთან დაკავშირებით არა მარტო ბატონ კახა ბენდუქიძის „შეგონებებს“, არამედ მიწის შესახებ კანონსაც ბევრი რამ აკლია და ბევრ რამეში უჭირს.

მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ მიწის საკითხი ძალიან რთული რამ არის. მიწის გამო დაატყდათ თავზე საშინელი უბედურებები რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ხალხებს. გლეხების (ყმებისძ მიწიანად გათავისუფლებას მოითხოვდა დიდი ილია XIX საუკუნის 60-იან წლებში. საუკუნეების წინათ უთქვამთ ბრძენ ადამიანებს, მიწის არსი ქვეყნისათვის მის ფლობაში კი არა, მის გამოყენებაშიაო.

როცა ასეთი მდგომარეობაა, რა ქნას ბატონმა კახა ბენდუქიძემ? რაც იცის, იმას „თამაშობს“. ან სად არის იმის გარანტია, რომ ხვალ ბატონი კახა არ იტყვის, მიწის საკითხში არც ფორმით და არც შინაარსით მართალი არ ვიყავიო?

მთავრობის გასვლით სხდომაზე, სადაც 100 ახალი საწარმოს აშენება გადაწყდა, ბიზნესმენებზე მიწის შეღავათიან ფასებში მიყიდვაზე იყო ლაპარაკი. ბატონი ბენდუქიძე სხდომას ესწრებოდა და ხმა არ ამოუღია. ალბათ მიხვდა, რომ მისი აზრი არც ფორმით და არც შინაარსით მისაღები არ იქნებოდა.

### ფორმით – ბიზნესმენი, შინაარსით – პოლიტიკოსი

**„გოგი თოფაძე აცხადებს, რომ უცხოურ კომპანიებთან ჭიდილში ქართველი მეწარმეები იჩაგრებიან, უცხოური კაპიტალი წაგვლეკავსო“, – აღნიშნა კორესპონდენტმა ზემოხსენებულ ინტერვიუში.**

„ჯერ ერთი, თუ უცხოური კაპიტალი შემოვა საქართველოში, ცუდი რა არის? ეს რა, დოვლათს არ ქმნის? ბატონმა გოგიმ ჯერ უნდა განსაზღვროს ბიზნესმენია თუ პოლიტიკოსი და მერე ერთ-ერთი საქმე გააგრძელოს“, – დამაჯერებლად უპასუხა ბატონმა ბენდუქიძემ.

კატეგორიულად ვერ დავეთანხმებით ბატონ კახას. შემოსული კაპიტალის 70-80 პროცენტი დოვლათს არ ქმნის. ის ხვდება ბიუჯეტში და საბიუჯეტო ორგანიზაციები ფინანსდება. ამ ორგანიზაციების დაფინანსება დღეს შესაძლებელია მნიშვნელოვანიც იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციები მატერიალურ ფასეულობებს არ ქმნიან.

რაც შეეხება ბატონ გოგი თოფაძეს, ჩვეულებრივი მოკვდავები ვხედავთ, თუ რას აწარმოებს და ვის ასაქმებს ბატონი გოგი და ამიტომ იგი ბიზნესმენია თუ პოლიტიკოსი, ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს.

ჩვენი აზრით, ბატონი თოფაძე არის ჩვენი ქვეყნის წარჩინებული მეწარმე (და არა ბიზნესმენიძ, რომელიც რეალურად ქმნის დოვლათს – უშვებს კონკურენტუნარიან პროდუქციას და ასაქმებს ხალხს. ასეთი მეწარმეები ქვეყნისათვის უფრო მაღალი „ხარისხის“ და მისაღები პოლიტიკოსები არიან, ვიდრე ხელისუფლების ნებისმიერი პოლიტიკოსები. უფრო მეტიც, თუ უახლოეს არჩევნებში ბატონი გოგი თოფაძე და მისი მსგავსი მეწარმეები არ მოვლენ ხელისუფლებაში, დემოგრაფიულ კატასტროფაზე ყვირილი, უბრალოდ, სასაცილოც კი იქნება.

„ერთ-ერთი ქართველი მეწარმე აცხადებს – მას შემდეგ, რაც ტყეები უცხოელებმა იჯარით აიღეს, ჩემს კომბინატს დახურვა ემუქრებაო“, – განაგრძობს კორესპონდენტი.

„ამიხსენით ერთი, მას თუ აწყობილი ბიზნესი აქვს, სხვამ როგორ უნდა აჯობოს? მოითხოვოს ტყის ფართობის აუქციონზე გატანა, შეიძინოს ლიცენზია და მეორე დღესვე დაიწყოს მუშაობა“, – უპასუხებს ბატონი კახა.

ასეთ შემთხვევაში რაჭაში ამბობენ ხოლმე, „დაუკარი თუ გინდა ფაყვე ტაშიო“. რა მარტივად ყოფილა საქმე!

უნდა გავიხსენოთ, რომ ჩვენ ვიხილავთ შემთხვევას, როდესაც ბატონი კახა შინაარსით პოლიტიკოსია და ასეთი ლოგიკა მათთვის (პოლიტიკოსებისთვისძ დამახასიათებელია. თორემ, წარმოუდგენელია ბატონმა კახამ არ იცოდეს, რომ ის უცხოელი, თავისი დიდი ფულადი რესურსით, არა მარტო „გადაყლაპავს“ ჩვენს ახალფეხადგმულ მეწარმეს, არამედ სახელმწიფო ჩინოვნიკებსაც მოისყიდის. უცხოელი ხეტყეს ნახევარფაბრიკატის სახით უცხოეთში გაიტანს და დიდ მოგებასაც ნახავს. ხოლო ჩვენი მეწარმე, ჩვენს ბაზარზე გამოტანით, ხარჯებსაც ვერ ფარავს.

### ფორმით – პოლიტიკოსი, შინაარსით – მძარცველი

**„უპატრონო ეშმაკისააო“, სწორედ უთქვამს ჩვენს წინაპრებს. სამწუხაროდ, ბევრ რამეს დაეუფლა ეშმაკი, მაგრამ საქართველოში მალე ყველაფერს ეყოლება პატრონი“, – ბრძანებს ბატონი ბენდუქიძე ინტერვიუში.**

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს წინაპრებს ისე არა აქვთ ნათქვამი, როგორც ბატონ კახა ბენდუქიძეს. რაც შეეხება მტკიცებას, რომ ბევრ რამეს დაეუფლა ეშმაკი, აქ ბატონ კახას უნდა დავეთანხმოთ და თან მყარი არგუმენტებით.

მე და ჩემს კოლეგებს ჰესების მშენებლობაში სააკაშვილის, ნოღაიდელის და ბენდუქიძის წონა ოფლი გვაქვს ჩაღვრილი და სისხლი ჩაქცეული (არაფერს ვაჭარბებძ, მაგრამ ხელფასიდან ხელფასამდე ფულს ყოველთვის ვსესხულობდით. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ მეტად მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებდით, რომ ქვეყანა (მასთან ერთად ჩვენცძ მიიღებდა ეკოლოგიურად ყველაზე უფრო სუფთა მეთოდით წარმოებულ, ყველაზე უფრო იაფ ელექტროენერგიას.

ბოლო 15-17 წლის მანძილზე ხელისუფლებაში მოსულმა ეროვნულმა, ნაციონალურმა თუ სხვა ჯურის პოლიტიკოსებმა, რათა ელექტროენერგიაზე ტარიფი მაღლა აეწიათ, ჰესებს არანაირი შეკეთება-აღდგენითი სამუშაოები არ ჩაუტარეს, რითაც მნიშვნელოვნად შეამცირეს ჰესების გამომუშავება, ხოლო ბევრი საერთოდ გააჩერეს. ბოლო პერიოდში, როდესაც რუსეთმა გაზმომარაგების თამაშში ისე „გადაღუნა“, რომ ყოველგვარ თამაშს აზრი დაუკარგა, ჩვენმა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ჰესების აღსადგენად ხელი გაანძრია და ქვეყანამ მყისიერად მიიღო ელენერგია.

ჰესების მიერ გამოშვებულ ელექტროენერგიას რომ ტარიფის შემცირება არ გამოეწვია, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ბატონი ბენდუქიძის ინიციატივით სასწრაფოდ მიჰყიდა ჰესები უცხოელებს. უცხოელი ტარიფს არასოდეს შეამცირებს!

მაგრამ მთავარი, რის გამოც ხელისუფლება ყიდის ყველაფერს, რაც მომგებიანია და იყიდება, ჩაწერილია „კანონში სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შესახებ.“ კანონის მე-8 მუხლის თანახმად, პრივატიზების ჩატარების ორგანიზაციული და გაუთვალისწინებელი ხარჯები ფინანსდება პრივატიზაციიდან შემოსული თანხებიდან, რომლის ოდენობასაც პრეზიდენტი ადგენს. ამ თანხებს ზედა ეშელონებში ითვისებენ. ამიტომ არის, რომ რაც უფრო მომგებიანია და ძვირია ობიექტი, მით უფრო მეტი დაჟინებით და აზარტით ცდილობენ მის გაყიდვას.

ჩვენს მიერ აშენებული ჰესები, რომლებიც არ გადაიყვანეს საბაზრო ეკონომიკის რელსებზე და ისე გაყიდეს, რომ არაფერს დაეკითხნენ იქ მომუშავე შრომით კოლექტივებს, როგორ გახდა აღმასრულებელი ხელისუფლების დამატებითი შემოსავლის წყარო?

ჭეშმარიტად, ბევრ რამეს დაეუფლა ეშმაკი საქართველოში!

მალე ყველაფერს ეყოლება პატრონიო, ბრძანებს ბატონი კახა და ამას უნდა დავეთანხმოთ. ოღონდ, პირველ რიგში, თვით ქვეყანას უნდა გაუწიოს პატრონობა მისმა ხალხმა, ხელისუფლებაში უნდა მოიყვანონ ის ადამიანები, რომლებიც დაიცავენ ქვეყნის და არა საკუთარ ინტერესებს.

ბატონი კახა ბენდუქიძე ბატონ მიხეილ სააკაშვილის გუნდის წევრია და იცავს გუნდური თამაშის წესებს. გუნდმა, რომელმაც ქვეყნის ძირითადი ობიექტები უცხოელებზე გაყიდა, სამშობლოდან გადახვეწა მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებული ადამიანები და, ფაქტობრივად, დაუკარგა დამოუკიდებლობა და თავისუფლება ჩვენს მოქალაქეებს, ზნეობრივი უფლებაც აღარ აქვს კვლავ წამოაყენოს თავისი პარტია მომავალ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში.

**ნუგზარ კობახიძე,**
**ქ. ბოლნისი**

№ 162. ოთხშაბათი, 22 აგვისტო, 2007 წელი.

**ენერგეტიკული პოტენციალის შევსების ერთ-ერთ რეალურ წყაროს (მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დღევანდელი დონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ) მხოლოდ ბირთვული ენერგეტიკა წარმოადგენს. ბირთვული ენერგეტიკა ერთადერთი და ფაქტობრივად დაუშრეტელი ენერგიის წყაროა, რომლის ინტენსიური ათვისებისა და გამოყენების საფუძველზე შესაძლოა გაკეთდეს შორსმიმავალი პროგნოზები**



კიევის ოლქის სტუდენტური სამშენებლო რაზმების მთავარი ინჟინერი ჯონი გიგინეიშვილი უკრაინის პირველი ბირთვული რეაქტორის მშენებლობაზე, 1975 წ.

# ბირთვულ ენერგიას ჩვენთვის ალტერნატივა არა აქვს

## საქართველოს ენერგეტიკისა და ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი სტრატეგიული საკითხის შესახებ

**◎ დღეს ხვალისთვის**

**მხოლოდ სამ რაიმეს შეუძლია გახადოს ერი ძლიერი და უზრუნველყოფილი: მაღალმოსავლიან ნიადაგს, წარმატებით მოქმედ მრეწველობას, ადამიანებისა და ტვირთების ადვილად და სწრაფად გადაადგილების საშუალებებს.**

**ფრანსის ბეკონი**

**საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრამ საფრანგეთში ბირთვული ენერგეტიკის წარმომადგენლებთან საზოგადოების გარკვეული ნაწილის აღფრთოვანება, ხოლო ნაწილის აღშფოთება გამოიწვია. წინასწარ უნდა გავაცნობიეროთ ისიც, რომ ეს, ალბათ, ასეც უნდა მომხდარიყო.**

ტრი-მაილ-აილენდისა და ჩერნობილის ავარიებმა ადამიანების ნაწილი პანიკური შიშით განაწყო ბირთვული რეაქტორის მიმართ. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული როლი მიუძღვის ჩერნობილის კატასტროფას, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდეს ტექნოლოგიურ კატასტროფად ითვლება. მან მოსახლეობის ნაწილს რადიოფობიის სიმპტომი გაუჩინა, რომელიც ამაღლებული ფსიქოემოციური რეაქციებით და უნდობლობით გამოიხატება.

ოპონენტები ივიწყებენ, რომ 1984 წელს ბჰოპალში (ინდოეთი) მოხდა გაზის გაჟონვა, რამაც 2500 ადამიანის მყისიერი სიკვდილი გამოიწვია, 50 ათასი ადამიანი მოიწამლა, ხოლო გაცილებით მეტმა მიიღო დასაშვებზე მეტი დასხივება. იმავე წელს მეხიკოში (მექსიკა) გაზის სადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ხანძრის შედეგად ცოცხლად დაიწვა 452 ადამიანი, 424 8-მ მიიღო მძიმე დამწვრობა, ხოლო 300 ათასი ადამიანი ევაკუირებული იქნა.

1990 წლების დასაწყისისათვის სულ 26 სახელმწიფოში 424 ბირთვული რეაქტორი გამოიმუშავებდა 336 გიგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიას. ამ დანადგართა რიცხვში და აღნიშნულ სიმძლავრეებში არ შევიდა წყალქვეშა გემების, ავიამზიდების, კოსმოსური და სამხედრო დანიშნულების, ექსპერიმენტულ და ლაბორატორიულ დანადგართა რაოდენობა და მათი სიმძლავრეები.

ჩერნობილის ავარიის შემდეგ ბევრმა სახელმწიფომ შეაჩერა ბირთვული ენერგეტიკის განვითარების პროგრამა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩერნობილის მსგავსი ბირთვული სადგურები ითვლებოდა იმდენად უსაფრთხო სადგურებად (მსგავსი სადგურები დღემდე წარმატებით მუშაობენ რუსეთის ტერიტორიაზე), რომ **კონსტრუქციული და ტექნიკური საშუალებები, რომლებიც პასუხისმგებელია რეაქტორის უსაფრთხოებაზე, არც კი იყო გათვალისწინებული.** ავარიის სცენარის მიხედვით კი შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი წინასწარ განზრახული დარღვევების მთელი კომპლექტის გამო მოხდა.

ჩერნობილის ავარიის შედეგად ვრწმუნდებით, რომ ნებისმიერი დაცვა არაეფექტიანი და უაზრო იქნება, თუ არ გამოირიცხა ადამიანის ან ადამიანების უპასუხისმგებლო ან წინასწარ განზრახული დივერსიული ქმედება კონსტრუქციული, ტექნიკური ან ნებისმიერი სხვა საშუალებებით.

ამ ავარიამ ბირთვული ენერგეტიკის ტექნიკური საკითხების ხელახალი განხილვა და ახლებურად გააზრება მოითხოვა და გასულ პერიოდში ბევრი რამ მნიშვნელოვნად შეიცვალა. შემუშავებულია ახალი ტიპისა და თაობის რეაქტორები, გაუმჯობესდა და დაიხვეწა არსებული პროექტები, შეიქმნა, აპრობაცია გაიარა და დაინერგა კიდეც ახალი თაობის რეაქტორები, გაუმჯობესდა მათი მუშაობისა და დაცვის კონსტრუქციული და ტექნიკური საშუალებები და ა.შ.

**პროფესიული მავნებლობის სტატისტიკური ანალიზი, ენერგეტიკის სხვა სახეობასთან შედარებით, მათ წარმოების მომზადების ჩათვლით, ნათლად გვიჩვენებს, რომ ბირთვული ენერგეტიკა მნიშვნელოვნად უსაფრთხოა, ვიდრე ორგანული საწვავის: ნავთობის, გაზისა და, მით უმეტეს, ქვანახშირის მოპოვება და წარმოება.**

1986 წლის სექტემბერში ჩატარებულ მაგატეს სპეციალური სესიაზე აღინიშნა, რომ ჩერნობილის კატასტროფამდე (ბირთვული ენერგეტიკის დარგობრივი კომისიის მიერ), **ბირთვული რეაქტორების 4000-ზე მეტი რეაქტორის წლების მუშაობის ანალიზის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ არ ყოფილა არც ერთი უბედური შემთხვევა, რომელიც ადამიანის სიკვდილით დამთავრდა და იგი დღემდე ითვლება როგორც ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა და უსაფრთხო ენერგიის წყარო.**

ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკისა და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის არჩევა ურთულესი ამოცანაა და მის განხილვაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების პასუხისმგებელმა პირებმა, კომპეტენტურმა ორგანიზაციებმა და სპეციალისტებმა. ამ წერილის მიზანია მხოლოდ რამდენიმე ასპექტის განხილვა, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია ენერგეტიკული რესურსების ეფექტიანი გამოყენების პრობლემებსა და პერსპექტივაზე, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით არსებული ბუნებრივი რესურსებისა და მოპოვებული ელექტროენერგიის თვითღირებულების ანალიზზე.

თუ იმ ბუნებრივი რესურსების მიხედვით ვიმსჯელებთ, რომელთა საფუძველზეც შესაძლოა აიგოს ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალის პერსპექტიული განვითარების სტრატეგია, მაშინ შეუძლებელია ყურადღება არ გავამახვილოთ ისეთ ენერგეტიკულ რესურსებზე, რომელიც ქვეყანას დიდი რაოდენობით აქვს: მზის, ჰიდროენერგეტიკული, გეოთერმული, ქარის, ისეთი საყოველთაოდ აღიარებული და პოპულარული რესურსები, როგორებიცაა ნავთობი და გაზი, რომელთა საკმარისი მარაგების არსებობა ჯერ კიდევ კვლევის პროცესშია, ქვანახშირის.

აღსანიშნავია, რომ ჰიდროენერგეტიკული რესურსებით მდიდარმა ისეთმა სახელმწიფოებმაც კი, როგორებიცაა: შვედეთი, შვეიცარია, რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი და სხვები, განავითარეს ბირთვული ენერგეტიკა და მომავალშიც დაგეგმილი აქვთ მათი გამოყენების ხარჯზე ენერგეტიკული დეფიციტის შევსება.

**დღეისათვის განსაკუთრებით აღსანიშნავი და ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ უახლოეს მომავალში ბირთვული ენერგეტიკის განვითარება აქვთ დაგეგმილი ნავთობისა და გაზის იმპორტიორ ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა: რუსეთი, ირანი, ყაზახეთი, აზერბაიჯანი და სხვები.**

რამ აიძულა ნავთობისა და გაზის იმპორტიორი ქვეყნები, რომ ბირთვული ენერგეტიკის განვითარებისათვის დაეწყოთ ბრძოლა? **ამისათვის საკმარისია გავეცნოთ საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მასალებს, მეცნიერებისა და სპეციალისტების მიერ გაკეთებულ გათვლებს,** რომლის მიხედვითაც ნავთობისა და გაზის მარაგი ამოუწურავი არ არის და ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზის საფუძველზე მათი მარაგი 80-120 წელიწადს არ სცილდება. ხოლო 20-25 წელიწადში სავარაუდოა ამ მარაგის მნიშვნელოვანი შემცირება. უახლოეს 5-10 წელიწადში კი მოსალოდნელია ფასების მნიშვნელოვანი ზრდა ენერგომატარებლებზე. **ენერგეტიკული პოტენციალის შევსების ერთ-ერთ რეალურ წყაროს** (მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დღევანდელი დონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ) **მხოლოდ ბირთვული ენერგეტიკა წარმოადგენს. ბირთვული ენერგეტიკა ერთადერთი და ფაქტობრივად დაუშრეტელი ენერგიის წყაროა, რომლის ინტენსიური ათვისებისა და გამოყენების საფუძველზე შესაძლოა გაკეთდეს შორსმიმავალი პროგნოზები.**

ჩვენ დღეს ალტერნატიული დილემის წინაშე კი არ ვდგევართ, არამედ ჩვენი დღევანდელი არსებობა და თუნდაც ყველაზე უახლოესი პერიოდისა და სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინება გვიკარნახებს, რომ დღეს მცდელობა და ძალღონე არ უნდა დავიშუროთ, როგორმე მოვახერხოთ და თუნდაც მინიმალურად საკმარისი და გარანტირებული ენერგეტიკული დამოუკიდებლობა მივიღოთ ბაზისური და სტაბილური ენერგიის მოწოდების წყაროს საკმაო ოდენობით მოპოვებით.

**ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ამოცანაა იმ გადაუდებელ და პერსპექტიულ ღონისძიებათა ჩამონათვალის დადგენა, რომლის შესრულება რანჟირებული იქნება ნაკლები დროის, ხარჯების, მეტი და სტაბილური ენერგიის მიღების, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პოტენციალის სწრაფი აღმავლობის კრიტერიუმების მიხედვით.**

ამავე დროს საინტერესო ფაქტია, რომ ბოლო 40 წლის მანძილზე კაცობრიობამ დახარჯა და გამოიყენა მეტი რაოდენობის ენერგია, ვიდრე მთელი თავისი არსებობის მანძილზე. მათზე მოთხოვნა განუხრელად იზრდება და დღემდე რჩება კაცობრიობის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემად. დედამიწაზე ამჟამად არსებული ყველა სახის ენერგეტიკული რესურსებით თუ ვიმსჯელებთ, ბირთვულ საწვავს შეუძლია მოგვცეს ტრილიონჯერ მეტი ენერგია, ვიდრე წყალსა და ქარს, ხოლო მილიონჯერ მეტი, ვიდრე ქიმიურ ენერგიას. აქედან გამომდინარე, **მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა სახის ენერგეტიკული რესურსების პოტენციური შესაძლებლობები საკმაოდ დიდია და აუცილებელია მათი ათვისება, გამოყენება და განვითარება, მომავალში საქართველო ბირთვული ენერგიის აქტიური მწარმოებელი და მომხმარებელი უნდა გახდეს ისევე, როგორც იაპონია, საფრანგეთი, გერმანია, უკრაინა, შვედეთი, შვეიცარია და სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნები. ყველა სხვა შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე აღმოჩნდება, რომელთა დაძლევა მომავალი თაობებისათვის შესაძლოა შეუძლებელიც აღმოჩნდეს.**

ამჟამად სახელმწიფოს უაღრესად რთული ეკონომიკური და ენერგეტიკული მდგომარეობა წინა პლანზე აყენებს დროის ფაქტორს. შესაბამისი საორიენტაციო გათვლების შედეგად შეიძლება მივიდეთ შემდეგ დასკვნამდე: თუ საყოველთაოდ მიღებული მეთოდებით გამოვითვლით ელექტროენერგიის თვითღირებულებას მშენებლობისათვის საჭირო კაპიტალური დანახარჯების გათვალისწინებით (2000 წელს არსებული ფასების მიხედვით), მაშინ წინასწარი საორიენტაციო გათვლების საფუძველზე მივიღებთ, რომ ერთი კილოვატსაათი ენგურჰესისათვის უდრის – 4,89 ცენტს, ხუდონჰესისათვის – 7,26 ცენტს, თბური სადგურებისათვის – 5,28 ცენტს, ბირთვული სადგურებისათვის – 4,03 ცენტს.

ამის საფუძველზე შეგვიძლია გამოვთქვათ შემდეგი მოსაზრება: **საქართველოს პირობებისათვის, როცა ორგანული საწვავი შემოსაზიდია, თბური ელექტროსადგურები** (გარდაბანი, ბათუმი, ქობულეთი...) **ენერგიის მაღალი თვითღირებულების გამო პერსპექტიული არ არის. ორიენტაცია მრავალწლიანი პერსპექტივის გათვალისწინებით ნავთობისა და გაზის გამოყენებაზე ქვეყნის სასიცოცხლო პროდუქციის წარმოებისათვის არ არის მიზანშეწონილი.**

საინტერესო სურათს იძლევა ჰიდრო და ბირთვული ენერგეტიკის დაპირისპირება. ბირთვული ენერგია გაცილებით იაფია, მაგრამ ამავე დროს ბირთვულ სადგურს ან სადგურებს (მძლავრი, საშუალო ან მცირე სიმძლავრის) შეუძლიათ მოგვაწოდონ ენერგია მრავალი ათეული წლის მანძილზე სტაბილურად. ასეთი ბირთვული სადგური შესაძლოა გახდეს საქართველოს ბაზისური ენერგიის წყარო. **ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მას საქართველოსათვის ალტერნატივა არ გააჩნია და საჭიროა მისი ჰარმონიული განვითარება ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი და მრა**

იხ. 6 გვ.

№ 162. ოთხშაბათი, 22 აგვისტო, 2007 წელი.

# ენერგეტიკა

**ამიტომ აუცილებელია, რომ ჩატარდეს მონიტორინგი ბირთვული რეაქტორების ტიპის, მათი სიმძლავრის შესაბამისი სამშენებლო მოედნის, ბირთვული ენერგეტიკის შემადგენელი სამშენებლო დანიშნულების ნაგებობებისა და მშენებლობისათვის საჭირო თანამედროვე კონსტრუქციების შესარჩევად**



## ინფორმაცია

### დიდუბეში სამსართულიანი სახლი ჩამოინგრა

**დიდუბეში, ერისთავის ქუჩის №1 ჩიხში მდებარე ყოფილი პროფტექნიკუმის შენობა, რომელიც ავარიული იყო, ჩამოინგრა.**



სამსართულიანი შენობის დანგრევის შედეგად, სადაც დევნილები ცხოვრობდნენ, ორი ადამიანი დაშავდა. 10 ოჯახი კი უსახლკაროდ დარჩა.

როგორც დევნილები ყვებიან, შენობა ავარიული იყო და შესაბამის სამსახურებს რეკონსტრუქციის მოთხოვნით რამდენჯერმე მიმართეს, თუმცა მათი მოთხოვნები რეაგირების გარეშე დარჩა.

შენობის ჩამონგრევიდან რამდენიმე წუთში ადგილზე მივიდნენ შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, ქალაქის მერი გიგი უგულავა და საპატრულო პოლიციის უფროსი გიორგი გრიგალაშვილი.

დაზარალებულ დევნილებს, საბავშვო ბაღის შენობაში შეასახლებენ, რომელიც ასევე დიდუბეში, ჩამონგრეული შენობის ახლოს მდებარეობს.

### დედა 3 წლის შვილს პროკურატურაში ტოვებს

**22 წლის ნათია მღებრიშვილი პროკურორთან საკუთარი სამი წლის შვილის დატოვებას შეეცადა.**

აღსანიშნავია, რომ გურჯაანის რაიონის პროკურატურა მარტოხელა დედას ნათია მღებრიშვილს ყალბი დოკუმენტების გამოყენებაში ადანაშაულებს და სასჯელის სახით სამი წლით თავისუფლების აღკვეთას ითხოვს.

ამასთან, სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა, მოგვიანებით, 2500 ლარის გირაოთი შეცვალა. როგორც მღებრიშვილი აცხადებს, თანხის გადასახდელად ბრალდებულის მშობლებმა ნაკვეთები და საოჯახო ნივთები გაყიდეს. თუმცა, მოგვიანებით პროკურატურამ საპროცესო გარიგებისთვის გირაოს თანხაზე კიდევ 2500 ლარის დამატება მოითხოვა.

თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში ნათია მღებრიშვილს პატიმრობა ემუქრება. როგორც ის აცხადებს, თუ დააპატიმრეს, სამი წლის შვილს გასაზრდელად რაიონულ პროკურატურაში დატოვებს.

**ინტერპრესნიუსი**

## დღეს ხვალისთვის

(მეხუთე გვერდიდან)

# ბირთვულ ენერგიას ჩვენთვის ალტერნატივა არა აქვს

**ვალფეროვანი ენერგეტიკული წყაროების ათვისების პარალელურად.** ასეთი სტრატეგია ბევრი ქვეყნისათვის ენერგეტიკის წამყვანი მიმართულება გახდა.

**არ მინდა შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის წინააღმდეგი ვიყო, მაგრამ ამჟამად ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურის, ჰიდროენერგეტიკოსების, ეკოლოგებისა და სხვათა თავსატეხი ისაა, რომ უზარმაზარი და დიდი მოცულობის წყალსაცავებმა კატასტროფული ზიანი არ მიაყენოს არა მარტო ეკოლოგიას, არამედ მთლიანად ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხს.** საყოველთაოდ ცნობილია ჰიდროსადგურების მიერ წარმოქმნილი პრობლემებიც: სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დატბორვა, ბიომრავალფეროვნების დარღვევა, ნატანის შემცირება, მიკროკლიმატის შეცვლა ადამიანების ჯანმრთელობის საზიანოდ, არქიტექტორული ძეგლებისა და ისტორიულ ნაგებობათა დაზიანებანი და სხვა... **მიუხედავად ამ დარგში მიღწეული წარმატებისა, ჰიდროტექნიკური მეცნიერება, პროექტირება და მშენებლობა ჯერ კიდევ ბევრ ალბათობასა და შავ ლაქას შეიცავს.**

**ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენების ეკოლოგიური და ტექნიკური პრობლემებიც კი მხედველობაში რომ არ მივიღოთ, მათ საფუძველზე მიზანშეწონილია გადავწყვიტოთ მხოლოდ ლოკალური (სოფლის, ქალაქის ან რაიონის) ენერგეტიკული პრობლემები და არა მთლიანად ქვეყნის მასშტაბით.** რაც შეეხება ქარის, მზისა და გეოთერმულ ენერგიას, მათი ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება წყლისა და ბირთვული სადგურების მიერ გამომუშავებული ენერგიის თვითღირებულებას.

საყურადღებოა საფრანგეთის ბირთვული ენერგეტიკის განვითარების გზა. გასული საუკუნის 50-იან წლებში ქვეყანა მწვავე ენერგეტიკულ კრიზისში აღმოჩნდა და საფრანგეთის მთავრობამ აირჩია ერთადერთი სწორი გზა — ბირთვული ენერგეტიკის განვითარება. დღეისათვის საფრანგეთის ენერგეტიკის 85% პროცენტზე მეტი ბირთვულ ენერგეტიკაზე მოდის. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ **ფრანგებს ერთი კილოვატი დადგმული სიმძლავრე ყველაზე იაფი უჯდებათ. მათ სადგურებზე არსებობიდან დღემდე არც ერთი სერიოზული ავარია არ დაფიქსირებულა.**

ჩვენთვის აგრეთვე საინტერესო და ყურადსაღებია შვედეთის, შვეიცარიის, ნორვეგიის, საფრანგეთისა და უკრაინის მაგალითები. შვედეთში ელექტროენერგიის ნახევარზე მეტს ბირთვული სადგურები გამოიმუშავებენ, ხოლო ნორვეგიაში არც ერთი ენერგეტიკული ბირთვული ელექტროსადგური არა აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის მისაწვდომია მძიმე წყალი და გაუმდიდრებელი ურანის მადნის ეფექტიანი გამოყენების პერსპექტივა. დღეისათვის ნორვეგია ყოველწლიურად აწარმოებს 25 მილიარდ კუბმეტრ საწვავ გაზს და გასაგებია, რომ ამ წყაროს დაშრეტამდე ენერგეტიკის წამყვან დარგებად დარჩება ჰიდრო და თბური სადგურებიდან მიღებული ელექტროენერგია. დღეს ნორვეგია პირველ ადგილზეა ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის წარმოების მხრივ.

ერთი შეხედვით, ორ მეზობელ ქვეყანას შეეძლო ეთანამშრომლა და ნორვეგიის ენერგეტიკული სიუხვე შვედეთს თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა, **მაგრამ რადგან ქვეყნის ენერგეტიკული დამოუკიდებლობა მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის საწინდარია, შვედეთმა საკუთარი, მაგრამ მისთვის შედარებით უფრო ძვირადღირებული ბირთვული ენერგეტიკის განვითარება ამჯობინა. სტოკჰოლმის საბაზისო ელექტროსადგური სწორედ ის ბირთვული სადგურია, რომელიც განთავსდა მიწის ქვეშ და რომელმაც რეალურად 18% პროცენტით შეამცირა ბირთვული სადგურის მშენებლობის თვითღირებულება და ამავე დროს მნიშვნელოვნად აამაღლა მისი უსაფრთხოება.**

**ეს მაგალითი საქართველოს პირობებისათვის განსაკუთრებით მისაბაძია, ვინაიდან ბირთვული რეაქტორებისა და დანადგრების ჩაღრმავებულად ქანებში განთავსება შეგვიძლია ჩვენც (რელიეფიც ხელს გვიწყობს და გარკვეული გამოცდილებაც გვაქვს), ზღვრული უსაფრთხოების ყველა კრიტერიუმის დაცვით** (ქანებში რეაქტორის საიმედო სიღრმეზე ჩადგმა, მათი ყველა შესაძლო და სავარაუდო ავარიის საიმედო ლოკალიზაციისათვის საჭირო დამატებით გარანტიას იძლევა).

ბირთვული რეაქტორის ჩაღრმავებულად ქანებში განთავსების ერთ-ერთი უპირატესობაა ისიც, რომ ამ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გასხვისების მინიმუმამდე შემცირება, რაც მცირე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მქონე ქვეყნისათვის ასევე აქტუალური და მნიშვნელოვანია.

ჩერნობილის კატასტროფამ ყველაზე მეტად უკრაინის საზოგადოებასა და ეკონომიკას მოუტანა ზიანი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ მოახერხეს და უკრაინის ტერიტორიაზე, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (1992-2005 წწ), 12 მილიონი საერთო სიმძლავრის ბირთვული სადგურები ააშენეს. უკრაინის ბირთვული ენერგეტიკა დღესაც აღმავლობით სტადიაშია და დაგეგმილი აქვთ უახლოეს პერიოდში რამდენიმე ახალი ბირთვული სადგურის მშენებლობა.

ახალი, მესამე თაობის ბირთვული რეაქტორები ტექნიკური თვალსაზრისით, ფაქტობრივად, თავიდანვე გამორიცხავს ბირთვული აფეთქების შანსს და, ამავე დროს, ეკოლოგიურად სრულიად უსაფრთხო დანადგართა ერთობლიობას წარმოადგენენ.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ საქართველოს აქვს დიდი რაოდენობით ვულკანური წარმოშობის ქანები, რომელთა შემადგენლობაში ბირთვული საწვავის შემცველობა კლარკის დონეზე მაინც უნდა იყოს, რაც თეორიულად შანსს იძლევა, რომ ბირთვული ენერგიისათვის საჭირო რაოდენობის საწვავის მოპოვება ჩვენთანაც კი შესაძლოა განხორციელდეს, თუ მეტი ყურადღებითა და გონიერებით მოვეპყრობით იმ რესურსებს, რაც ასე უხვად და მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი ქვეყნის ტერიტორიაზე. **საქართველოში არსებული ბუნებრივი რესურსების გამოყენებითა და ათვისებით კი უახლოეს პერიოდში შესაძლებელია იმ სამშენებლო მასალების, ნაკეთობებისა და კონსტრუქციების წარმოება, რომელთაც რადიაციული ფონის შთანთქმა და ჩახშობა შეუძლიათ.**

ასეთი სტრატეგიით ბირთვული რეაქტორის მშენებლობა ჩვენი ქვეყნის პირობებში, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ენერგეტიკული და ტექნიკური თვალსაზრისით, სრულიად გამართლებულია, მაგრამ არ გამორიცხავს მათი მშენებლობის ალტერნატიულ ვარიანტებს. ამიტომ აუცილებელია, რომ ჩატარდეს მონიტორინგი ბირთვული რეაქტორების ტიპის, მათი სიმძლავრის შესაბამისი სამშენებლო მოედნის, ბირთვული ენერგეტიკის შემადგენელი სამშენებლო დანიშნულების ნაგებობებისა და მშენებლობისათვის საჭირო თანამედროვე კონსტრუქციების შესარჩევად.

მშვიდობა თუ გსურს, **ომისათვის უნდა ემზადო!“.** გასაგებია, რომ დღეისათვის ჩვენი ქვეყანა მზად არ არის იმისათვის, რომ მძლავრი და ზემძლავრი ბირთვული სადგურების მშენებლობა დაიწყოს (თუმცა გამორიცხული არც არის), მაგრამ საშუალო ან მცირე სიმძლავრის ბირთვული სადგურის (ან სადგურების) განთავსება საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც ეკოლოგიურად, ასევე ტექნიკურად და ეკონომიკურად გამართლებული და ხელმისაწვდომია.

პრაქტიკულად შეუძლებელია აღნიშნულ პრობლემათა ყველა საკვანძო საკითხისა და დეტალის საგაზეთო სტატიაში განხილვა. დღეისათვის კი (პრობლემათა განხილვის ამ ეტაპზე) მიზანშეწონილად მიმაჩნია ბირთვული ენერგეტიკის პრობლემური და პრაქტიკული რეალიზაციის საკითხებზე გაიცეს შესაბამისი მითითებები, რათა აღნიშნული წინადადებანი განვიხილოთ დეტალურად შესაბამისი ორგანიზაციების, სპეციალისტებისა და დაინტერესებული პირების მონაწილეობით.

**ბირთვული ენერგეტიკა კაცობრიობის განვითარების ამ ეტაპზე ენერგიის ყველაზე მისაღებ და პერსპექტიულ ენერგიის წყაროს წარმოადგენს და გვინდა თუ არ გვინდა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ის ინტენსიურად ვითარდება და კიდევ უფრო ინტენსიურად განვითარდება მომავალში. ამას მოითხოვს კაცობრიობისა და ცივილიზაციის წინაშე დღეს არსებული რეალური პრობლემები და ობიექტური მოთხოვნები.**

**ჯონი გიგინეიშვილი,**
შენობა-ნაგებობათა ავტომატიზებული მეთოდებით კვლევისა და პროექტირების ინჟინერი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

**რედაქციისგან: ამ სტრიქონების ავტორი 1974 წელს მუშაობდა უკრაინის პირველი ბირთვული რეაქტორის მშენებლობაზე, როგორც დამწყები ინჟინერი — პრაქტიკაზე და შემდგომ, როგორც კიევის ოლქის სტუდენტური სამშენებლო რაზმების მთავარი ინჟინერი, ხოლო 1993-1994 წლებში — ჩერნობილის მეოთხე ავარიული ბლოკისა და მისი სარკოფაგის კონსტრუქციათა აღდგენა-რეაბილიტაციისა და კომპიუტერული მოდელირების პრობლემებზე. სამუშაოთა შესრულების პერიოდში, ფაქტობრივად, ცხოვრობდა ქ. ჩერნობილში. მისი მეგობრებისა და კოლეგების მიერ 1991-2006 წლებში განხორციელდა უკრაინის ახალი ბირთვული რეაქტორებისა და მათი დამცავი კონსტრუქციების გათვლა, პროექტების შექმნა და მშენებლობა.**

# ვა, სოფელო!...

● ადრე ქალაქში ჩამოტანის პრობლემა არ გვქონდა, სამი მატარებელი დადიოდა ჩვენი სოფლის გავლით, ქალაქშიც დროულად ჩავდიოდით, ახლა ერთი მატარებელი დადის ბორჯომი-თბილისი. მაგრამ ჩვენთან 10 საათზე გამოივლის, თბილისში კი შუადღეზე ჩავდივართ, თუ დროულად არ ჩავედით, ისე რა აზრი აქვს წასვლას?



◎ ყოფა

## გლეხებს უკვე ბაზარში შესვლა კი არა, ქალაქში ჩამოსვლაც უჭირთ

**ამბობენ, წლეულს ხილის დიდი მოსავალიაო. საქართველოში, განსაკუთრებით კი შიდა ქართლში, შარშან ასე არ იყო, ამიტომ წლეულს აქაურებს ძალიან ეიმედებოდათ. ფიქრობდნენ, რომ ხილს სარფიანად გაყიდდნენ და შემოსავალიც ექნებოდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ გამოვიდა. მაგალითად, ბალი იმდენი ჰქონდათ, სად წაეღოთ, არ იცოდნენ. არადა, ქალაქში ბლის ფასი 2 ლარზე დაბლა არ ჩამოსულა, ზოგჯერ ხუთი ლარიც კი ღირდა. სამაგიეროდ წლეულს ვერც ხახვს მოიყვანენ, ვერც ნიორს და ლობიოს. რატომ? იმის გამო, რომ მოსახლეობას დროულად არ მიაწოდეს სარწყავი წყალი.**



— შარშან ჩემს ნაკვეთზე მოწეული ლობიოთი მთელი ოჯახიც გამოვკვებე და გასაყიდადაც ჩავიტანე ქალაქში, წლეულს უწყლობით სულ გაგვიფუჭდა. ხეხილმა კი იყოჩაღა და გაუძლო უწყლობას. ქალაქში ვერ წავიღე და მხოლოდ ადგილზე ვყიდდი, ახლა ატამი ძლივს ჩამოვიტანე, — შემომჩივლა სოფელ ქვახვრელის მცხოვრებმა შიო ბერიკაშვილმა, თან სამი კილო მწიფე ატამი ამიწონა.

მასთან საუბარში გავარკვიე, რომ სოფელ სკრის მცხოვრებლებსაც უჭირთ თბილისში ხილის ჩამოტანა.

— ადრე ქალაქში ჩამოტანის პრობლემა არ გვქონდა, სამი მატარებელი დადიოდა ჩვენი სოფლის გავლით, ქალაქშიც დროულად ჩავდიოდით, ახლა ერთი მატარებელი დადის ბორჯომი-თბილისი. მაგრამ ჩვენთან 10 საათზე გამოივლის, თბილისში კი შუადღეზე ჩავდივართ, თუ დროულად არ ჩავედით, ისე რა აზრი აქვს წასვლას? იმიტომ ვყიდით შედარებით ძვირად, პრობლემა ბევრი გვაქვს, ქალაქშიც ხომ აირია ყველაფერი, „დეზერტირების ბაზარი“ ყველას იტევდა. ახლა რომ ჩამოვალთ, არც ვიცით, სად მოგვიწევს გაყიდვა, ძალიან გვიჭირს, ამიტომ ვცდილობთ ცოტა ძვირად გავყიდოთ, — თავი იმართლა სოფელ სკრის მცხოვრებმა გელა მურადაშვილმა. — სხვა რომ ლარად ყიდდა ატამს, 2 ლარს ვაფასებდი, — აბა, რა ვქნათ, ხილი გადავყაროთ, როგორც ჩემმა მეზობელმა ორი ვედრო ბალი გადაუძახა ნაგავში? დროულად ვერ ჩამოვიდა ქალაქში, გაუფუჭდა ხილი. ადრე გზებზეც ვყიდდით, ახლა ამის უფლებასაც არ გვაძლევენ, შენს ჭიშკართანაც კი ერთი ვედრო ატამი რომ დადგა, მოვა პატრული და ისეთ ჯარიმას აგკიდებს, ცხოვრებაში ვერ გადაიხდი.

როგორც მოვაჭრეებთან საუბრისას გავიგე, მატარებლებით მგზავრობა შუა ივნისიდან გართულებულა, როცა საგარეუბნო ელექტრომატარებლების რიცხვი შეუმცირებიათ.

დილის საათებში მხოლოდ ორი ელექტრომატარებელი დადის — ნიქოზი-თბილისი და ბორჯომი-თბილისი, — ამბობენ მოვაჭრენი, — მაგრამ ნიქოზი-თბილისის მატარებლით ქარელის, ხაშურისა და გორის მოსახლეობის უმრავლესობა ვერ სარგებლობს, განსაკუთრებით კი ვინც გორის დასავლეთ მხარეს ცხოვრობს, მათ მხოლოდ ბორჯომი-თბილისით სარგებლობა შეუძლიათ, მაგრამ ამ მატარებელში იმდენი მგზავრია, დასაჯდომ ადგილზე ლაპარაკი ზედმეტია, ბარგი ძლივს შეგვაქვს, ასეთ პირობებში ვმგზავრობთ და ფასი მაინც მოამატეს, ადრე თუ 50 თეთრი ღირდა ბილეთი, ახლა ერთი ლარი ღირსო.

ადრე, თურმე, რკინიგზის დეპარტამენტში იმაზე წუხდნენ, ელექტრომატარებლები სატვირთოს ხელს უშლისო და მათი შემცირება გადაუწყვეტიათ, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, გლეხს ქალაქში ჩამოსვლაში ხელი შეუშალონ? სატვირთო მატარებლები დიახაც რომ საჭიროა, მაგრამ გლეხებმა რაღა ჰქნან? მათ რაღა დააშავეს?

ამდენი ხანი, პირადად მე სულ იმას ვწერდი ჩვენს გაზეთში, გლეხებს ბაზრებში არ უშვებენ-მეთქი. ქალაქელი მოვაჭრენი ხშირად ადგილზე ჩადიოდნენ და ბითუმად შედარებით იაფად ყიდულობდნენ საქონელს, ან მატარებლებს მოყვებოდნენ და სანამ თბილისში ჩამოვიდოდნენ, მორიგებაც მათ სასარგებლოდ მთავრდებოდა, გლეხი ხელს მალევე ითავისუფლებდა და უკანვე ბრუნდებოდა, ახლა, თურმე, პრობლემა თვით ქალაქში ჩამოსვლაა.

**თბილისელები ხილის სიძვირით ვიწვით, გლეხებს კი, თურმე, ხილი გადასაყრელადაც ემეტებათ. რა ქნან, განა უნდათ გადაყარონ, მაგრამ... როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს, ნუთუ რკინიგზის დეპარტამენტში უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს, ვიდრე გლეხებისთვის მგზავრობაში პრობლემის შექმნაა? საინტერესოა ამაზე რა პასუხს გასცემს რკინიგზის დეპარტამენტი ქარელის, ხაშურისა და გორის მცხოვრებლებს?**

**ნაზი იმნაიშვილი**

◎ სტუმრად ოდაბადეში

# წათე და გუბაზ მეფეთა საუფლოში

### რა ახლოს ყოფილა ჯოლევი

**იმ დღეს სრულიად მოულოდნელად მომიწია ჩემს მშობლიურ სოფელ ჯოლევში გამგზავრება. პენსიონერის საშუადღისო ძილს რომ ვაცხობდი, ჩვენი დროის უსასწაულესი „ჩიტი“ — მობილური ტელეფონი ყურთან ამიჭიკჭიკდა. ჩემმა ბიზნესმენმა სიძემ ნუკრიანელმა ბესო ბახტურიძემ ლამის ამაფეთქა, ოცი წუთის სავალზე ვარ, სასწრაფოდ გაემზადე და დამხვდიო. ჩემს ოდაბადეში ჩასვლა მეც მომნატრებია, უარი ამადაც ვერ გამივიდა.**

და აი, გერმანული მარკის „ფოლკსვაგენით“ მივსრიალებთ. იმ სულკურთხეულმა ვაჟამ რომ ბრძანა, გზას ვამბობ, თორემ რა გზააო, ეს გზაც ეგეთი მახსოვდა. ნათქვამია, ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხედაო. ჰოდა, რაც კარგი და მოსაწონი გაკეთებულა, იმაზე ვინ მამაძაღლი იტყვის აუგს, ოღონდ სიკეთე ქნან და... ჰოდა, ეს გზა ადრე რომ 7 თუ 8 საათს ვანდომებდით, სრულ 4 საათში დავფარეთ.

სიძემ გაიხარა თავისი ცოლშვილით, უფროსი ქალიშვილი და ტყუპი ვაჟი ერთად შემოესივნენ, შემოეგურგურნენ ბოკვრებივით. მე კიდევ ნათესავების, დიდი ხნის უნახავი მეზობლების მიკითხვა-მოკითხვაში ჩავერთე.

### ჭა გლეხკაცის მღელვარებისა

ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, ბაბუაჩემმა მეზობელი სოფლიდან ვილაც ჭის სპეციალისტი თუ ხელოსანი რომ მოიყვანა. ზაფხულობით ჩვენს ჭაში წყლის ნაკლებობას ვუჩიოდით. ჰოდა, ის კაცი რამდენჯერმე ჩავიდა შიგ, რაღაც გაზომა თუ გათვალა და მერე თქვა, ორი მეტრი უნდა დაემატოსო. ასეც მოიქცნენ. რას წარმოიდგენდა ნეტარხსენებული ბაბუა, რომ ეს გადაწყვეტილება მის შთამომავლობას სანანებელი გაუხდებოდა.

სუფრა რომ გაიშალა, წამომცდა, რას ემდურით ამ ხელისუფლებას, რა დიდებული გზა გაუკეთებია, კომუნისტებსაც კი არ ჰქონდათ ასეთი-მეთქი. ამის თქმა იყო და თხუთმეტიოდე კაცს ერთბაშად ენა ჩაუვარდა. მერე ისე ქვეშქვეშად ამომხედეს, შევატყვე, ჩემს ფსიქიკურ მდგომარეობას ამოწმებდნენ. ბოლოს ერთმა ბიძაშვილმა გაჟეჟილს გატეხილი ამჯობინა.

— ჯანმრთელად ხომ ხარ?

დღეს ასეთი ფუფუნებით ორიოდე ვინმე თუ დაიკვეხნის და მაინც, რა მოხდა-მეთქი.

— შენ თუ იცი, ჭის სიღრმის მიხედვით გადასახადი რომ უნდა დაგვიდგინონ?

— რაღაც ამდაგვარს ქალაქშიც ლაპარაკობენ, მაგრამ რა ლოგიკაა, თანაც ეს ჭა პაპისპაპის ამოთხრილია და...

ახლა კი მართლა შემოვიკვნიტე ენა, ისე, პეტრე პირველმა წვერის გადასახადიც დააწესა, მაგრამ ბოიარები მეფესთან მაინც წვერგაბურძგნული წარუდგებოდნენ-მეთქი, როდისროდის ამოვღერღე.

— ისინი „სპეცგადასახადებს“ იხდიდნენ. პეტრესაც ფული უყვარდა, მოაკლდებოდა და... — თქვა მეორე ბიძაშვილმა.

— მიწებსაც რომ გვართმევენ? — ახლა მესამე წამომიხტა. ქიზიყიდან ნაფეშქაშევი ღვინით სავსე ჭიქა ბრაზით გადაკრა და ჩემს სიძეს მიუბრუნდა, ეს ღვინო კი არა, ღვთიური წვენია და ხუთი წელი რამ შეგანახინაო. ქიზიყელი კაცი არ დაიზნა, რვა წლისაც მაქვსო, ნუკრიანული ღვინის ძება ისევ წამოიწყო, მაგრამ ვინ აცალა.

— კომუნისტებიც კი მიხვდნენ, რომ მიწა გლეხს უნდა ჰქონოდა და ბოლოს გაიმეტეს კიდევაც საჩვენოდ. ადრე თუ ერთ ჰექტარში გვახრჩობდნენ, მერე ხელები გაშალეს, ა, ბატონო, მოუარეთ, დახანით, ცოტა ჩვენც მოგვინარჩუნეთო, — მიხსნის ჩემი მამიდაშვილი, 67 წელს მიტანებული დიდი ოჯახის მამა, სოფლის ამაგდარი ჟიული ძიძიგური, მერე ისე მიწვრილმანებს ყოველ დეტალს, თითქოს ციდან ვიყო ჩამოფრენილი.

მე კი ჩემთვის ვშიფრავ მის სახელს. ჟიული — ეს ხომ მაღლასვლას ნიშნავს ქართულად. აი, რატომ აფრინდა ჟიული შარტავა საარწივეთში. მიხარია ჩემი აღმოჩენა, მაგრამ დღეს მისი სახელი და გმირობა ვის ახსოვს.

— საწვავიც გაგვიძვირეს, ცეცხლი წაუკიდეს, — რომან გაგუა ისე გამიცხარდა, თითქოს მე ვყოფილიყავი პრეზიდენტი და კიდევ კარგი ეს ასე რომ არ იყო, — ახლა ისევ ხარებს ვზრდით, კავსა და გუთანს დავუბრუნდით. ეგ მთავრობა კი, ევროპელები ვართო, ფასებს ზემოთ სწევენ, ხალხს სამსახურისა და სარჩოსაბადებლის გარეშე სტოვებენ. კი, ხრუშჩოვიც გვეუბნებოდა, ამერიკას გავუსწროთო, მაგრამ... ბაბუაჩემმა აკი უთხრა, სირცხვილია, შარვალი გაქვს გამოხეული, წინ რო წავიდე, ყველა დამინახავს და უარეს სირცხვილში ჩავვარდებიო. აკი არც წავსულვართ.

— სოფლის მარჩენალი, ქვეყნის სიმდიდრე ჩაის პლანტაციები ხომ გაგვინადგურეს. მარტვილის რაიონში ათამდე ჩაის ფაბრიკა იყო, ასი ათასობით ტონა მზა პროდუქციას ვაწარმოებდით და უცხოეთში კიდევ გვეხვეწებოდნენ, მოგვაშველეთო. ახლა იმ ადგილებში ტურა და მგელი დაძრწის, — მეუბნება თამაზ ნარსია, რომლის მამა ომის წლებიდან მოყოლებული ისეთი ძლიერი ბრიგადირი იყო, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ტოლს უდებდა და საათივით ჰქონდა საქმე აწყობილი. ახლა მისი შთამომავალიკი ოდესღაც გაწკრიალებულ მამა-პაპის ნაამაგარ ჩაის პლანტაციებს გლოვობს.

იხ. 8 გვ.

◎ ინფორმაცია

### სომხეთში მწერლებს სასახლეს ურემონტებენ, ჩვენთან კი უზინაოდ ტოვებენ

**მწერალთა კავშირის შენობის დაცლის პროცესს სომხეთის მწერალთა კავშირის წარმომადგენელი, პოეტი გაგიკ დავითიანიც შეესწრო.**

იგი ქართულ-სომხურ პოეტურ ანთოლოგიას ამზადებს და თბილისში ამასთან დაკავშირებით ჩამოვდა.

როგორც დავითიანმა საუბარში აღნიშნა, საკუთარი თვალით ნახა, თუ როგორი ფორმით ხდებოდა მწერალთა კავშირის გამოსახლება.

„ასეთი რამ სიზმარშიც ძნელი დასაჯერებელია. გაოგნებული ვარ აქ შექმნილი ვითარებით. საქართველო თავს იჭრის იმ ქმედებით, რომელსაც ახლა სჩადის და თავს სჭრის საკუთარ მომავალსაც“, — განაცხადა დავითიანმა.

მისივე თქმით, სწორედ ამ დღეებში სომხეთის მთავრობამ ქვეყნის მწერალთა კავშირის შენობის გასარემონტებლად უზარმაზარი თანხა გამოყო.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამოსახლების ფაქტს, სომხეთის გარდა, უკვე გამოეხმაურა აზერბაიჯანის მწერალთა კავშირი. ისინი ქართველ კოლეგებს თანადგომას უცხადებენ.

**ინტერპრესნიუსი**

# ვა, სოფელო!..

**მინდვრები კი გვაქვს, ფეხბურთის სტადიონიც, მაგრამ ამის ხალისი აღარ შერჩა ხალხს. ათიოდე წლის წინათ სოფლის სკოლაში, რომელსაც დიდებული შენობა აქვს, ოთხასამდე ბავშვი დადიოდა. ახლა სამოცდაათიოდე ძლივს იყრის თავს. უფრო მეტ ჩვენიანს შეხვდები თბილისში, ელიავასა და ლილოს ბაზრობებზე**



**სტუმრად ოდაბადეში**

**(მეშვიდე გვერდიდან)**

— ყველაფერს მე კი ნუ მაბრალებთ, ხალხო, — ახლა მე გავბრაზდი და ჭიქიანად ფეხზე წამოვიჭერი, — ბევრი ცოდვა შევარდნაძესაც მოჰკითხეთ, მაშინ სად იყავით, ის რომ ქვეყანას ანგრევდა? აი, ამაში მიუძღვის ბრალი თითოეულ ჩვენგანს, — ამოვთქვი და ცხელი გულიც ხუთი წლის ნუკრიანულით გავიგრილე.

— მაშინ „მხედრიონი" დათარეშობდა, — სიტყვა არ შემარჩინეს, — გვარდიელებიც არ გვაკლებდნენ ხელს. თუ სადმე ქურდი და ყაჩაღი იყო, ჩვენ შემოგვისიეს. სამეგრელოს დედა უტირეს, ჩვენს ბიჭებს ტყეში ღორებს აჯიჯგნინებდნენ...

— რომ მოგვატყუეს, მეგრელებმა მხარი დაგვიჭირეთ, ეს ბებერი მელა ჩამოგვაგდებინეთ და მერე ჩვენ ვიცითო. დავით აღმაშენებლის საფლავზე რომ დაიჩოქა... ჩვენ რომ არ გავყოლოდით, ჰაი, დედასა! უკვე მერამდენედ მოგვატყუა...

სუფრა გვიან აიშალა. ჰაი, დედასა, რაც იმ ღამეს ამ ხელისუფლებას მამის სული უხსენეს...

### ტარჩენსაც გაგვიყიდიან

**ნაბახუსევს, ნამგზავრს სოფლის ნანატრ სიგრილეში მკვდარივით ჩამძინებოდა. მერე სადღაც უშველებელ საოპერო დარბაზში ამოვყავი თავი. უკრავდა გასაოცარი, ღვთაებრივი ორკესტრი. სოლისტი მაფშალია (ბულბული) არაკრაკებდა და იმ შეჩვენებულმა მამალმა რომ დაჰყივლა, დამენანა, მაგრამ ერთბაშად გამოვფხიზლდი.**

სიყმაწვილის შემდეგ, რაც ქალაქში გადავიხვეწე, ფრინველთა კრებულის ასეთი გალობა არ მომისმენია. უმალ ავდექი, სპორტულები მოვიძიე და ჩემი საყვარელი მდინარე ტარჩენისკენ, რაღაც სამასი თუ ოთხასი მეტრი, ძუნძულით ავლიე. არა მგონია დედამიწის ზურგზე ჯოლევისთანა მეორე სოფელი იყოს! ტარჩენი ხომ ყურის ძირში მოგუღუღებს, იქიდან ნახევარ კილომეტრში თავანკარა აბაშაა, ხოლო აქაური გემრიელი თევზი თუ მოგინდა, სოფლის დასავლეთით აყლაყუდა დობეროები უნდა გადაიარო და ნახევარი საათის სავალზე ჩემი სოფლის მოსაზღვრე ტეხურა მოშხუის. სიყმაწვილეში ბიჭები შევიკრიბებოდით და როცა მაგრა ცხელოდა, გრილო-გრილო ტეხურას მივაშურებდით, მის ბობოქარ ტალღებთან შეჭიდება ძალას და სიცოცხლეს გვმატებდა.

ჩემს ღელეს არ მინდა გული დავწყვიტო. ის ხომ მამაპაპეულ ეზოს უკნიდან ჩაუდის. ხოლო

## წათე და გუბაზ მეფეთა საუფლოში

რაღაც ორიოდე კილომეტრში ციხეგოჯია, ეგრისის ამაყი და სწორუპოვარი ციხე-ქალაქი, კოლხ მეფეთა ღვთაებრივი საუფლო.

ჩვეულებრივ გამამხნევებელი ვარჯიში ჩავატარე, მერე წყალში თავით გადავეშვი. სხვათა შორის, ტარჩენის წყალს უნიკალური სამკურნალო თვისებები აქვს. კავკასიონის შვილობილი ბჟერის მთიდან პატარა ღელეებს ცალ-ცალკე გამოაქვთ გასაოცარი მინერალები: იოდი, კალციუმი, სხვა ბევრიც, მერე ტარჩენს შეუერთდებიან... ამიტომაა ზაფხულობით მთელი სოფელი აქ ჩაყრილი. იგი პატარა განგა-მდინარე გეგონება, საპონიც რომ არაა საჭირო, ისე ბანს და რეცხავს, ორგანიზმსაც ხომ აკაჟებს, და მერე როგორ!

— მიდი, მიდი, მოასწარი, სანამ გაგვიყიდიან, თორემ მერე იქნებ არც ჩაგვიშვან, — წყლიდან თავი ამოვყავი თუ არა, მამიდაშვილმა ფრიდონ რუსიამ შემომძახა.

— ამას ვინ გაყიდის? — შევცინე წყლის სიგრილით ნაამებმა.

— ვინ და შენი ბენდუქიძე.

— იმან ტარჩენისა რა იცის, — თავი დავიარხეინე, რადგან მაინც ხუმრობა მეგონა.

— ნუ გეშინია, ამ ქვეყნად გასაყიდი, სათავისო რაცაა, ყველაფერი იცის. ფრიდონმა კამეჩები გადარეკა მდინარეზე. მის ბაბუას, კოსტა ჯახუას კამეჩები უყვარდა. ტრადიცია მოსდგამთ და შვილიშვილსაც უმრავლებია თავისი ჯოგი.

— ამოდენა ნახირი გყოლია და კიდევ მთავრობას ემდური?

— არა, ბიჭო, ამათ ჭკუაზე ვივლი, ჩემს თავს თუ არ მივხედე, ესენი შვილიშვილებსაც გამიყიდიან.

### ახალგაზრდობაც გადაიხვეწა

**ახლა უკვე მე თვითონ დავინტერესდი სოფლის პრობლემებით. თვალები ამოვიფშვნიტეო, რომ იტყვიან, კარგად გავიხედ-გამოვიხედე აქეთ-იქით, თუმცა ახალი აღმოჩენა არ გამიკეთებია, მაინც გავესაუბრე სოფლელებს. გიზო ჯახუა ინჟინერ-რკინიგზელია, დაოჯახდა და თავისი სპეციალობით სამუშაო რომ ვერ იშოვა, მამისეულ კერას დაუბრუნდა.**

— ერთი ჰექტარი მიწა, ისიც აქაური, მწირი, ნაკლებ ნაყოფიერი, გლეხის ოჯახისთვის არც ისე დიდი ბედენაა. თუ სასუქი არ შეიტანე, მარცვალსაც ვერ მიიღებ. სასუქი კი ძვირია, ცეცხლი უკიდია. სოფელში ფულს იოლად ვერ იშოვი, ოჯახი ყველს თვითონ იკლებს, კვირიდან კვირამდე აგროვებს, რომ ბანძის ბაზარზე გაყიდონ და საოჯახო ყულაბა შეიძინას, ბავშვიც ხომ უნდა გაუშვა სასექტემბროდ სკოლაში, ჩაცმა და დახურვაც ხომ ცალკე გინდა და... ახალგაზრდული ცხოვრება ჩამკვდარია, კლუბში ლტოლვილები არიან ჩასახლებული, საბავშვო ბაგა-ბაღიც ლტოლვილებს უჭირავთ. კოლმეურნეობის კანტორის ლამაზი შენობა გაქრა, სოფელს რომ ცენტრი არ ექნება... მინდვრები კი გვაქვს, ფეხბურთის სტადიონიც, მაგრამ ამის ხალისი აღარ შერჩა ხალხს. ათიოდე წლის წინათ სოფლის სკოლაში, რომელსაც დიდებული შენობა აქვს, ოთხასამდე ბავშვი დადიოდა. ახლა სამოცდაათიოდე ძლივს იყრის თავს. უფრო მეტ ჩვენიანს შეხვდები თბილისში, ელიავასა და ლილოს ბაზრობებზე.

— ალბათ ჩინელებს აქაც შემოგვისახლებენ, — ძირძველი ჯოლეველი ანგულა ჯახუა „ტელეიმედს" თვალს არ აშორებს, თან გაუთავებლად ლაპარაკობს აქაურთა გასაჭირზე. — უკვე რამდენი წელია, ახალი ჟურნალ-გაზეთი არ გვღირსებია, სოფლის ბიბლიოთეკა ხომ გაქრა, ჰოდა, მთელი სოფელი ამ „ტელეიმედს" ვართ ჩადარაჯებული, მეტნაკლებად სიმართლეს გვეუბნება, გვგონია. ისე, სიმართლეს ყველა გვიმალავს, თუმცა შუბი ხალთაში როდის დამალულა. ჩვენ მთავრობას მხოლოდ არჩევნებისათვის ვჭირდებით, ისე არავის ვახსენდებით. თუმცა რაში ვუნდივართ, უცხოელები მოჰყავთ. ისინი უკვე აქაც გამოჩნდნენ, მე მათი ჯინი კი არ მჭირს, თავადაც სიძე უკრაინელი მყავს. ქართველებს უცხოელების მიმართ ახირება არ გვჩვევია, მაგრამ ჩვენ რომ გერებად გაგვიხადეს, ასე მგონია, ამ ხელისუფლებას ქართველები ჭირივით ეჯავრება... აგერ სპორტის აკადემიას რომ ყიდიან, ამაზე მეტი მტრობა რა უნდა იყოს?! და მაინც გლეხები ასე ცხვრებივით არ შევეჭმევინებით, ჩვენს მამაპაპეულს დავიცავთ. ჩვენ ხომ ისევ გუთანსა და თოხს დავუბრუნდით, მაინც არ შევეშვებით ჩვენს მიწას და თუ გამოწვევა უნდათ, მერე იკითხონ, აქაურები კვლავ ავდუღდებით და თბილისში ისევ ჩავალთ, მხარში დავუდგებით იქაურებს, რომელთა გასაჭირიც ვიცით. ჩვენი ლტოლვილების უბედურებაც გულს გვიმღუღრავს, ნებისმიერ უცხოელს უკეთ ექცევიან, ვიდრე მათ. ვითარება ასე როდემდე გასტანს? ერთსაც გეტყვი, ამ მთავრობას საკუთარი ხალხის ეშინია და უცხოელებიც იმიტომ შემოჰყავს. მთელი სახნავ-სათესი აუქციონზე გაიტანეს და, აქაოდა, ჩინელი თავად შემოდისო, ანაზღაად მოვისაზრე, არბიტრობა ქიზიყელი სტუმრისთვის შემეთავაზებინა. ქართველი გლეხობა სად უკეთ ცხოვრობს, აღმოსავლეთში თუ დასავლეთში-მეთქი. იმანაც ერთი გამომხედა, მერე კახურად მოჭრა, ბიჯო, მაგას რა კითხვა უნდა, განა თვითონ არ იცი, ჩვენებურები აქაც და იქაც შავ დღეში არიანო, დაასკვნა სიძე-ბატონმა.

ისე კი, ერთი რამ აღმოვაჩინე ამ სოფელშიც და სხვაგანაც, სანათესაოს შემოვლისას, დიდი და პატარა ერთ ქვაბში რომ იხარშება, საერთო საწუხარი რომ აქვს, გამუდმებით შესცქერის „ტელეიმედს". იქნებ ამის მიზეზი ტელესერიალის გმირი ხუანი ან სალვადორი კი არაა. მიუკერძოებლობით მართლა გამოირჩევა დღეს ტელეკომპანია „იმედი". ვიღაცამ ხომ უნდა თქვას სათქმელი. იმედი კი დიდი ძალაა!

**გივი ჯახუა**

**ტურიზმი**

# იქნებ ქართული სოფელიც აღორძინდეს ტურისტთა ხარჯზე...



## საფრანგეთის გამოცდილება ჩვენც გამოგვადგება

**საქართველოს ნებისმიერ რეგიონში შესაძლებელია აგროტურიზმის განვითარება. ამით შესაძლებელი გახდება ოჯახის პატრონმა ეკონომიკურად ცოტა სული მოითქვას და დამსვენებელიც კმაყოფილი დარჩეს. თუმცა ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ პირველი ნაბიჯები იდგმება. არადა, სოფლად მცხოვრებთ შემოსავლები ჰაერივით სჭირდებათ...**

ქართველებს ძალიან გვიყვარს უცხო ქვეყნების მიბაძვა. ამ თვალსაზრისით შესანიშნავ მაგალითს იძლევა საფრანგეთი. იქ უცხოელი ტურისტები არა მხოლოდ ულამაზესი პარიზის დასათვალიერებლად ჩადიან, არამედ ხშირად დიდი სურვილი აქვთ სადმე ქალაქგარეთ, მყუდრო სოფლებში დაისვენონ და ჩუმად, მშვიდად ჩაიმუხლონ მდინარის პირას...

აგროტურიზმის განვითარება საფრანგეთში გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო, როცა ჩვეულ მოვლენად იქცა სოფლების დაცარიელება, დაბერება და ახალგაზრდობის მიგრაცია ინდუსტრიულ ქალაქებში. სწორედ მაშინ ფრანგებმა შექმნეს აგროტურისტული ასოციაციები, შეიმუშავეს მომსახურების ეთიკური ნორმები და საქმეს შეუდგნენ. გაირკვა, რომ ძალიან ბევრ დამსვენებელს მართლაც მობეზრდა ქალაქური კომფორტი, ერთფეროვნება და ღამის ბარების გნიასი...

აგროტურისტულმა ასოციაციებმა მალე დაანახეს ფრანგულ საზოგადოებას და მთელ მსოფლიოს, თუ რაოდენ საინტერესო და სასარგებლოა სოფლად დასვენება. უკვე, აპრობირებულმა

№ 162. ოთხშაბათი, 22 აგვისტო, 2007 წელი.

● საქართველოს უნიკალური შანსი აქვს სოფლად ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით თავი გამოიჩინოს და საფრანგეთის გამოცდილება გაიზიაროს. მაშინ, ალბათ, საკუთარ სოფლებში დაბრუნდებიან ლუკმაპურის საშოვნელად ქალაქში გადახვეწილი ადამიანები, აგროტურიზმით გარკვეული შემოსავლებიც გაუჩნდებათ და სოფელიც წელში გაიმართება



გიორგი მგელაძე (მარჯვნივ) თავის კოლეგა ჯემალ ვაჩნაძესთან ერთად

◎ ადამიანი დროში

# მერე რა, რომ წლები გარბის...

## ისინი ჩვენს ცხოვრებას ალამაზებენ

**თანამედროვე სამყაროში ყველაფერი სწრაფად იცვლება, იცვლებიან ადამიანები, იცვლება შეხედულებებიც, რადგან დროდადრო ღირებულებათა გადაფასებაც ხდება, მაგრამ რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, არ იცვლება და, ალბათ, არც შეიძლება შეიცვალოს ის გარემო, რომელსაც საინტერესო ადამიანები თავიანთი გარშემო ქმნიან და ამით ცხოვრებას ულამაზებენ გარშემო მყოფთ. ეს თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას, მათ შორის ერთ-ერთი, ალბათ, პროფესორი გიორგი მგელაძეა.**

**მისი შემოქმედებითი გზა ქობულეთის რაიონის მუხაესტატის მეციტრუსეობის მეურნეობაში დაიწყო ნახევარი საუკუნის წინათ, სადაც ახალგაზრდა სპეციალისტი სამუშაოდ გაანაწილეს, მაგრამ პერსპექტიული და კვლევის ნიჭით დაჯილდოებული მომავალი მეცნიერი მალე ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გადაჰყავთ, 1961 წელს საკანდიდატო დისერტაციას იცავს, 1975 წელს კი უკვე მეცნიერებათა დოქტორია.**

**აკადემიკოსი გიორგი მგელაძე 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელთა შორის ათი მონოგრაფიაა, სამ-სამი — სახელმძღვანელო სტუდენტთათვის და ბროშურა. მისი რედაქტორობით გამოცემულია ექვსი აგრო-მეტეოროლოგიური შრომათა კრებული, უშუალო ხელმძღვანელობით შესრულდა დაახლოებით ორმოცი სამეცნიერო შრომა. 1991 წელს იგი მიიწვიეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციების კურსის წასაკითხად, სადაც დღემდე მოღვაწეობს. წლების განმავლობაში კითხულობს ლექციებს აგრარულ უნივერსიტეტშიც.**

**— რა პრაქტიკული დანიშნულება აქვს თქვენს შრომებს?** — ვკითხე ბატონ გიორგის.

— ჩემი შრომები, ძირითადად სასოფლო-სამეურნეო კულტურებსა და გარემო ფაქტორებს შორის ურთიერთკავშირების გამოვლენას ეხება, აგრეთვე ამინდისა და აგრო-კლიმატური პირობების გავლენას კულტურათა პროდუქტიულობაზე. ასევე შედგენილი მაქვს აგრო-კლიმატური დარაიონების რუკები, რომლებიც კულტურებისთვის ახალი ფართობების ათვისებისას გამოიყენება.

თავის ქებად ნუ ჩამითვლით, მაგრამ გეტყვით, რომ პირველმა შევიმუშავე სხვადასხვა სახეობის აგროკულტურის ძირითადი ფაზების დადგომისა და მოსავლის აგრო-მეტეოროლოგიური პროგნოზის მეთოდები, რომლებიც შემდგომ დაინერგა ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტში სოფლის მეურნეობის ოპერატიული მომსახურებისთვის. გარდა ამისა, მრავალი წლის განმავლობაში უშუალოდ ვმონაწილეობდი სხვადასხვა სამეცნიერო-საველე ექსპერიმენტურ დაკვირვებებში ჰიდრომეტეოროლოგიის მაღალმთიან ბაზაზე. რამდენიმე ნაშრომს მიენიჭა სამეცნიერო პრემია. მნიშვნელოვნად მიმაჩნია აგრეთვე ისიც, რომ ჩემი ხელმძღვანელობით პირველად შესრულდა თემატური პროექტი „კლიმატური და აგრო-კლიმატური რესურსები“, ამ პროექტს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მეურნეობის ყველა დარგისთვის, ზოგადად სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის.

აი, ამაშია ჩაქსოვილი მთელი ჩემი ცხოვრება!

**— დღეს რას საქმიანობთ? მიეცით თავს დასვენების უფლება თუ... რომ არ გეთქვათ, ვერც დავიჯერებდი, რომ 77 წლის ბრძანდებით...**

— ერთი დღითაც არ გავჩერებულვარ, არ მაქვს უფლება შევყოვნდე. ბევრი ჩანაფიქრი მაქვს. ვაგრძელებ სამეცნიერო საქმიანობას ჰიდრომეტეოროლოგიის კვლევის ინსტიტუტში. ეს ინსტიტუტი 1953 წელს დაფუძნდა 1844 წლის დაარსებული ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ბაზაზე და ამიერკავკასიაში ერთადერთია. იგი მეცნიერულ დონეზე იკვლევს მრავალ პრობლემას სხვადასხვა დარგში, კერძოდ, ჰიდრომეტეოროლოგიაში, ჰიდროლოგიაში, ეკოლოგიაში (კლიმატოლოგიაში) და აგრომეტეოროლოგიაში. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე იძლევა რეკომენდაციებს ქვეყნის განვითარებისთვის. მაგალითად, აგრო-მეტეოროლოგიური სპეციფიკური საკითხების დამუშავება შესაძლებლობას გვაძლევს სრულად გამოვავლინოთ მემარცვლეობის, მემცენარეობის, მეხილეობის, მესაქონლეობის და სხვა დარგების განვითარების და მაღალი მოსავლის მიღების პოტენციური შესაძლებლობანი, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობისთვის.

**— ბატონო გიორგი, დღეს ბევრი უკმაყოფილებას გამოთქვამს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებით, ინსტიტუტების შეერთებით (ამბობენ, რომ 40 წლის ასაკის ზემოთ მეცნიერ-მუშაკებსაც არ აჩაჩანებენ ინსტიტუტში). საოცარია პირდაპირ, რომ თქვენ მაინც კითხულობთ უნივერსიტეტშიც ლექციებს... როგორ ფიქრობთ, ჩვენი განათლების სისტემა პასუხობს დღევანდელ მოთხოვნებს?**

— განათლების სისტემაში მიმდინარე რადიკალური ცვლილებებიდან ბევრი რამ არ მომწონს, ბევრი რამ კი, შეიძლება ითქვას, მომწონს. ისე, განათლება ყოველთვის იყო და არის ქვეყნის საზრუნავი. დღევანდელი ვითარება ბევრ პროფესიას ცვლის, მაგრამ იმის თქმა, რომ ძალიან ცუდია, ან ძალიან კარგია ეს ცვლილებები, ნაადრევად მიმაჩნია, ყველაფერს დრო გვიჩვენებს, მთავარია არ დაგვაგვიანდეს.

**— იქნებ თქვენს ოჯახზეც თქვათ ორიოდე სიტყვა?**

— ცოტა მეუხერხულება საკუთარ შვილებზე საუბარი, მაგრამ რადგან მეკითხებით, გეტყვით. ჩემი ვაჟი გიორგი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ცნობილი დემოგრაფი. ქალიშვილი მაია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორია, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იქვე კითხულობს ლექციების კურსს. მოკლედ, ჩემი გზის გამგრძელებელია ამ დარგში, რაც ძალიან მახარებს.

მე და ჩემს მეუღლეს მერი ფირცხალავას კი მალე ოქროს ქორწილი გვექნება...

**— დაბოლოს, რას ურჩევდით ჩვენს ახალგაზრდებს?**

— ჩემო მშვენიერო ახალგაზრდობავ, სწორედ თქვენს ასაკშია დრო „მაცდური“, ამიტომ ყოველნაირად ეცადეთ, დრომ არ გაჯობოთ. მეტი დრო დაუთმეთ სწავლას, რადგან რასაც ახალგაზრდობის ასაკში დაკარგავთ, მერე მისი აღდგენა ძნელია. გახსოვდეთ, ჩვენს ქვეყანას, როგორც არასდროს, განათლებული, მცოდნე ახალგაზრდები სჭირდება. თქვენს ხელშია ქვეყნის ბედი. გიყვარდეთ ერთმანეთი და შრომა.

* * *

**ძნელია ისე განვლო ბოროტებითა და შურლვარძლით სავსე ეს მართლაც „თავბოლო, გაუგებარი და ამოუცნობი წუთისოფელი“ და ისევ ისეთი დარჩე, როგორიც მოხვედი — ბავშვივით სუფთა და შეუბღალავი. ეს შეძლო ჩემმა რესპონდენტმა გიორგი მგელაძემ. ვეცადოთ, შევძლოთ ჩვენც.**

ესაუბრა
**ნაზი იმნაიშვილი**

◎ ინფორმაცია

### ექსპერტთა ჯგუფების წარმომადგენლები ბეჟუაშვილს შეხვდნენ

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა გუშინ საქართველოში დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დენის კიფი მიიღო.**

საგარეო უწყების ცნობით, ელჩმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს მიაწოდა ინფორმაცია ექსპერტთა მეორე დამოუკიდებელი მთავრობათაშორისი ჯგუფის (IIუპ-2ძ) მიერ ჩატარებული სამუშაოს შესახებ.

აღნიშნულ ჯგუფში შედიან ესტონეთის, გაერთიანებული სამეფოსა და პოლონეთის წარმომადგენლები. იგი მიზნად ისახავს ექსპერტთა პირველი ჯგუფის მიერ 6 აგვისტოს ინციდენტთან დაკავშირებით მოპოვებული მტკიცებულებების შემოწმებას და შევსებას.

გუშინვე ექსპერტთა მეორე დამოუკიდებელმა მთავრობათაშორისო ჯგუფმა (IIუპ-2ძ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურად გადასცა მის მიერ მომზადებული ანგარიში, რომელიც 2007 წლის 6 აგვისტოს საქართველოს საჰაერო სივრცის შესაძლო დარღვევასა და სოფელ წითელუბანთან ამოღებულ რაკეტასთან დაკავშირებული გარემოებების გამოძიებას ეხება.

### ედუარდ კოკოითი აფხაზეთში ჩავიდა

**ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერი ედუარდ კოკოითი და ყარაჩაი-ჩერქეზეთის პრეზიდენტი მუსტაფა ბატდიევი გუშინ აფხაზეთში ჩავიდნენ.**

როგორც სააგენტო „რეგნუმი“ იუწყება, ფსოუს საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე კოკოითსა და ბადტიევს აფხაზი სეპარატისტების ლიდერი სერგეი ბაღაფში დახვდა.

სააგენტოს ცნობით, „ჭირის მეგობრები“ ბიჭვინთაში არაფორმალურ შეხვედრას გამართავენ, შემდეგ კი რიწის ტბაზე გეგმავენ გასეირნებას.

**ინტერპრესნიუსი**

◎ ტურიზმი



ცენტრებმა, რომლებსაც მინიჭებული აქვთ სპეციალური ლოგო, კარგად მოახერხეს მომხმარებლის დაინტერესება. ამიტომაც არის, რომ აგროტურიზმის ბიზნესი დღეს ჰყვავის მთელ საფრანგეთში.

საინტერესო ის გახლავთ, რომ საფრანგეთის სოფლები, რომლებიც თითქმის უნდა დაცარიელებულიყვნენ, ახალი ძალით შეივსო, სოფელმა ფუნქცია აღიდგინა და გლეხებს სოლიდური სამუშაო მიეცათ. ისინი ყოველწლიურად ემზადებიან ზაფხულის სეზონისთვის, ცდილობენ შედარებით უკეთესად მიიღონ დამსვენებელი, აწარმოონ მრავალფეროვანი პროდუქცია, რაც არა აქვთ, შეიძინონ მეზობელი სოფლებიდან და ა.შ. ყველაფერი ეს იმიტომ კეთდება, რომ ჩამოსულმა ტურისტმა მაქსიმალურად კარგად დაისვენოს და გაერთოს.

გარდა ამისა, გლეხს გაუჩნდა ამბიცია, ჩამოსულ სტუმარს მეტი დრო დაუთმოს, გააცნოს მას საკუთარი სოფელი, მხარე და ზოგადად ქვეყანა.

ქალაქის ტურისტული სააგენტოები თუ ჩამოსულ სტუმრებს, უბრალოდ, ღამის გათევით და მისი თანმხლები მომსახურებით უზრუნველყოფენ, აგროტურისტულ ასოციაციებს უფრო ფართო პროგრამა აქვთ და ბევრი უპირატესობაც გააჩნიათ. ამიტომაც არის, რომ მსგავსი ასოციაციების რაოდენობა საფრანგეთში სულ უფრო იზრდება. სახელმწიფო ამას მიესალმება და ყოველმხრივ ხელს უწყობს.

ყოველივე ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ საქართველოს უნიკალური შანსი აქვს სოფლად ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით თავი გამოიჩინოს და საფრანგეთის გამოცდილება გაიზიაროს. მაშინ, ალბათ, საკუთარ სოფლებში დაბრუნდებიან ლუკმაპურის საშოვნელად ქალაქში გადახვეწილი ადამიანები, აგროტურიზმით გარკვეული შემოსავლებიც გაუჩნდებათ და სოფელიც წელში გაიმართება.

ამ მიმართულებით საქართველოში პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. როგორც ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი, ცენტრის პრეზიდენტი ირმა ინარიძე ამბობს, საფრანგეთის მაგალითზე საქართველოშიც შეიქმნა ასოციაცია, რომელიც რამდენიმე ოჯახს აერთიანებს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მსგავსი ასოციაციები ხელს შეუწყობენ ჩვენს ქვეყანაში აგროტურიზმის განვითარებას.

**ლალი ძინძლაძე**

# უცხოური პრესა

**ქართულმა მხარემ განაცხადა, რომ წყვეტს ორმხრივ კონსულტაციებს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუსი ექსპერტები ფაქტობრივად მიაბრძანეს საქართველოდან**



**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# ქართული მხარის ვერსიამ ვერანაირ კრიტიკას ვერ გაუძლო

**6 აგვისტოს მომხდარი „სარაკეტო ინციდენტის“ შესახებ ქართული ვერსია მთლიანად გაბათილდა შემთხვევის ადგილზე რუსი ექსპერტების ჯგუფის მუშაობის შემდეგ. ეს ხაზგასმულია ექსპერტთა დასკვნაში, რომელიც სამშაბათს გამოაქვეყნა საქართველოში რუსეთის საელჩომ.**

რუს ექსპერტთა ჯგუფში შედიოდნენ რუსეთის ფედერაციის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდლის პირველი მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი იგორ ხვოროვი, სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი შტურმანი, გენერალ-მაიორი სერგეი ნუჟინი, სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი ინჟინერი საავიაციო შეიარაღების საკითხებში, პოლკოვნიკი პავლე აკულენკო, საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური წარმომადგენელი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხებში ვალერი კენიაკინი და სხვები.

საელჩოს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთის დელეგაციამ დაათვალიერა ინციდენტის ადგილი ცხინვალის რეგიონის სოფელ წითელუბნის მახლობლად, გამართა შეხვედრები საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში, გაეცნო იმ „აუფეთქებელი რაკეტის“ ფრაგმენტებს, რომელიც, ქართული მხარის ვერსიის თანახმად, ჩამოაგდო რუსულმა სუ-24 ტიპის თვითმფრინავმა. საკუთარი მონაცემებისა და ქართული მხარის მიერ მიწოდებულ მასალებზე მუშაობის შედეგების საფუძველზე რუსმა ექსპერტებმა შემდეგი დასკვნები გამოიტანეს:

რუსეთის რადიოსალოკაციო სადგურის მონაცემებით, 2007 წლის 6 აგვისტოს მოსაზღვრე საჰაერო სივრცეში დაფიქსირდა 90 საფრენი აპარატი. „ესენი იყვნენ წინასწარ გამოცხადებული საჰაერო ხომალდები, მათი ფრენა კი საგეგმო ხასიათს ატარებდა. ქართულ მხარეს მიაწოდეს დონის როსტოვიდან მიღებული საჰაერო მოძრაობის სამოქალაქო სექტორის კონტროლის მონაცემები. გარდა ამისა, არსებობს კიდევ საჰაერო თავდაცვის მონაცემები, რომელსაც აქვს სამოქალაქოზე გაცილებით უფრო მძლავრი რადიოსალოკაციო საშუალებები. სამოქალაქო და სამხედრო რადიოსალოკაციო სადგურების მონაცემები ერთმანეთს ემთხვევა. ამრიგად, რუსული მხარის ხელთარსებული ინფორმაციით, რუსეთის მხრიდან არ მომხდარა საქართველოს საჰაერო საზღვრის უსანქციო დარღვევა“, – იტყობინება საელჩო. გარდა ამისა, „ვითომდა სახელმწიფო საზღვრის დარღვევის შესახებ არსებული დოკუმენტების გულმოდგინედ შესწავლის შემდეგ, რომლებიც ქართულმა მხარემ გადმოგვცა, რუს ექსპერტებს დაებადათ მრავალი კითხვა“.

მაგალითად, განხორციელებული მონიტორინგიდან გამომდინარე, ექსპერტებმა მიიღეს ინ-



ფორმაცია, რომ თვითმფრინავი ასრულებდა რთულ მანევრებს – ვირაჟებს, მაგრამ „ქართული მხარის მიერ გადმოცემულ რადიოკონტროლის საშუალებათა მონაცემებზე ეს არ არის დაფიქსირებული“.

„ექსპერტებს არ მიაწოდეს ინფორმაცია იმ ქართული რადიოსალოკაციო სადგურის შესახებ, რომელსაც ვითომდა დაესხა თავს რუსული თვითმფრინავი, ასევე მონაცემები მისი კოორდინატების თაობაზე, რის შედეგადაც შეუძლებელი გახდა ამ სადგურის მოქმედების ზონის ზუსტად განსაზღვრა და ჰიპოთეზური ობიექტის მიერ მისი შესაძლო აღმოჩენის პირობების გარკვევა. ყოველივე ამის შედეგად დაიბადა ეჭვი ქართული მხარის მიერ წარმოდგენილი კონტროლის მასალების სარწმუნოობის შესახებ“, – იუწყება საელჩო.

ექსპერტებისთვის ასევე არ გაწუმართავთ, თუ ქართულმა რადიოსალოკაციო სადგურებმა რატომ ვერ დააფიქსირა სხვა საფრენი აპარატები, რომლებიც იმ მომენტისთვის იმყოფებოდნენ როგორც რუსეთის ფედერაციის, ისე საქართველოს ტერიტორიებზე. ამრიგად, რუსმა ექსპერტებმა გამოიტანეს დასკვნა: „ფრენის ხასიათი და მიმართულება არ ემთხვევა იმ დეტალების განლაგებას, რომლებიც დააფიქსირეს ინციდენტის ადგილზე. იქ კვალი, ფაქტობრივად, მთლიანად იყო წაშლილი“.

რაკეტის ადგილმდებარეობის, მისი ფრაგმენტების შესწავლის შემდეგ რუსმა ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ იმ რაკეტის ორი მესამედი, რომელზეც ქართული მხარე მიანიშნებს, ადგილზე საერთოდ აღარ არის. „არ არსებობს მთავარი ელემენტი – ცენტრალური ნაკვეთური, სადაც განლაგებულია ფრთები, ძრავა, საბრძოლო ნაწილი, რომელზეც წარწერილია რაკეტის ნომერი.

ქართული მხარის განცხადებით, ეს ნაკვეთური გაანადგურეს“, – განმარტეს მათ.

უფრო მეტიც: „რაკეტის ჩამოვარდნის შედეგად წარმოქმნილი ორმო, რომელიც გამოძიებისთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო, ამოავსეს ექსპერტების ჩასვლამდე. ამის გამო ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა ორმოს სიღრმე და სავარაუდო რაკეტის ჩამოვარდნის კუთხე. ქართული მხარის ინფორმაციით, ქართველმა ექსპერტებმა 7 აგვისტოს ააფეთქეს რაკეტის ზედა ნაწილი. ამრიგად, შეუძლებელი გახდა იმის განსაზღვრა, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდა „ჩამოვარდნილი“ რაკეტა და საიდან შეიძლებოდა მოფრენილიყო იგი. და მაინც, GPS-ის გამოყენებით, ემპირიულად დადგინდა ამ რაკეტის სავარაუდო კოორდინატები. მათ განსაზღვრეს, რომ იმ მდგომარეობაში, რომელშიც რაკეტა აღბეჭდილია ქართული მხარის ფოტოსურათებზე, მისი კურსი უნდა იყოს 330 გრადუსი ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. ეს მთლიანად ეწინააღმდეგება იმ მონაცემებს, რომლებიც წინათ გაავრცელა ქართულმა მხარემ. შემდეგ, რაკეტის საშტატო რეჟიმით მუშაობის შემთხვევაში, იგი მთლიანად ვერ ჩაეფლობოდა მიწაში ისე, რომ არ დაზიანებულიყო, როგორც ამას ამტკიცებს ქართული მხარე. რაკეტის სათავო ნაწილი იმსხვრევა დედამიწასთან მისი შეხებისას. ორმოდან შეეძლოთ ამოეღოთ მხოლოდ კონსტრუქციის მძიმე ფრაგმენტები – ძრავის დეტალები ან საბრძოლო ნაწილის ელემენტები. რაც შეეხება თვით რაკეტას, იგი ისეა მოწყობილი, რომ, პრინციპში, შეუძლებელია არ აფეთქებულიყო. მაგრამ, როგორც ცნობილია, აფეთქება არ მომხდარა. ამასთან დაკავშირებით გამოითქვა სერიოზული დაეჭვება იმის თაობაზე, რომ რაკეტა საერთოდ გაუშვეს ან მოხდა მისი ავარიული ჩამოგდება“.

რაც შეეხება იმას, ნამდვილად არის თუ არა ეს ჩ-58 რაკეტა, ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ „მისი ცალკეული ფრაგმენტები შეიძლება მართლაც ეკუთვნოდეს ამ ტიპის რაკეტას“. კერძოდ – რაკეტის მეოთხე ნაკვეთური, მისი ოთხი საჭიდან ორი, რომლებიც წარმოადგინა ქართულმა მხარემ. სხვა მტკიცებულებანი კი იმის შესახებ, რომ ეს ჩ-58 რაკეტა იყო, არ წარმოუდგენიათ. „რაკეტის მეოთხე ნაკვეთურის დათვალიერებისას, ექსპერტებმა ეჭვქვეშ დააყენეს ძრავის ძირითადი ნაკვეთურისგან სათავო ნაწილის გამოყოფის ხერხი, – ხაზგასმულია განცხადებაში. – უფრო გულმოდგინე შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ ნაკვეთური ჩამოჭრილი იყო მექანიკური გზით და იგი რაკეტას არ გამოყოფია აფეთქების შედეგად, როგორც ამას ქართული მხარე აცხადებდა. გადაჭრის ადგილზე დაფიქსირებულია მნიშვნელოვანი კოროზია. რადგან რაკეტის ამ ნაწილის ლითონი მაღალლეგირებული ფოლადია, მსგავსი კოროზია ვერ წარმოიქმნებოდა იმ ხანმოკლე დროის მანძილზე, რომლის განმავლობაშიც რაკეტა ორმოში იმყოფებოდა. შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს დეტალი არ ეკუთვნის იმ რაკეტას, რომელიც ქართველმა ექსპერტებმა წარმოადგინეს“.

საელჩო ასევე იტყობინება, რომ ქართული მხარის მიერ წარმოდგენილ ერთ-ერთ ფოტოსურათზე დაფიქსირებულია ხელსაწყოს ფრაგმენტი, რომელსაც წარწერა უცხო ენაზე აქვს. მაგრამ, საყოველთაოდ ცნობილია, რომ „სსრ კავშირისა და რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის შესაბამისად, უცხოური, იმპორტული აგრეგატების დამონტაჟება ავიაციის საბრძოლო საშუალებებზე აკრძალულია“. მაშასადამე, „ეს ბლოკი ვერანაირად ვერ მოხვდებოდა ვერც საბჭოური და ვერც რუსული წარმოების რაკეტაში“, განმარტავენ დოკუმენტის ავტორები.

რუსული მხარის თხოვნაზე ეჩვენებინათ რაკეტის ფრთები, წარმოადგინეს მათი მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტები, არადა, ასეთი ოთხი ფრთა უნდა ყოფილიყო. ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას სხვა რამ იპყრობს. ქართველმა ექსპერტებმა ვერ გასცეს პასუხი კითხვას, თუ რომელი ლითონისგან მზადდება ასეთი ტიპის რაკეტების ფრთები. ამის თაობაზე მათ მისცეს ახსნა-განმარტებანი. რადგან რაკეტა ზეჩქაროსნულია, მისი ფრთები ტიტანის შენადნობისგან მზადდება. იმ რაკეტის ფრთების ფრაგმენტები კი, რომელიც, თითქოსდა ჩამოვარდა შემთხვევის ადგილზე, სხვა ლითონისგან იყო დამზადებული. კითხვას, თუ როგორ შეიძლებოდა ასეთი რამ მომხდარიყო, ქართულმა ექსპერტებმა ასევე ვერ უპასუხეს.

„ინციდენტში რუსეთის მონაწილეობის შესახებ ქართული მხარის მიერ წარმოდგენილმა ვერსიამ ვერანაირ კრიტიკას ვერ გაუძლო. ამით გამოძიება დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს. ამავე დროს, რუსეთის მხარემ გამოთქვა მზადყოფნა გააგრძელოს გამოძიება, რა თქმა უნდა, ქართულ მხარესთან ერთად იმ მიზნით, რომ გაირკვეს, თუ რას წარმოადგენენ საქართველოში მოქმედი ძალები, რომლებსაც შეუძლიათ ასეთი სერიოზული პროვოკაციების დაგეგმვა და განხორციელება. სამწუხაროდ, რუსეთის ეს წინადადებაც უარყვეს“, – იტყობინება რუსული მხარე.

იგი ასევე გამოთქვამს გაკვირვებას ექსპერტთა საერთაშორისო ჯგუფის პოზიციის გამო, რომელმაც მიმდინარე წლის 16 აგვისტოს გამოაქვეყნა თავისი დასკვნა. „ყოველივე ეს უფრო მეტად წააგავს პოლიტიკურად ანგაჟირებულ განცხადებას“, მიაჩნია რუსეთის მხარეს. მისთვის ასევე გაუგებარია, თუ „რომელი ექსპერტები ახორციელებენ გამოძიებას და როგორი მეთოდებით ხელმძღვანელობდნენ ისინი“.

**РОСБАЛТ**

**21 აგვისტო**

**„სრ“ რედაქციისაგან: კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ „არ გასწორდება ძაღლის კუდი, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“.**

# ვიტალი ჩურკინი საქართველოს პასუხს გასცემს გაეროს ტრიბუნიდან

**რუსეთის ფედერაციის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვიტალი ჩურკინი ქართული მხარის მიერ გამოთქმულ ბრალდებებს ოფიციალურ პასუხს გასცემს 21 აგვისტოს ნიუ-იორკში, გაეროს შტაბ-ბინაში გამოსვლის დროს.**

საქართველოს ხელისუფლება კვლავ ამტკიცებს, რომ ქვეყნის საჰაერო სივრცეში 6 აგვისტოს შეიჭრა თვითმფრინავი რუსული ამოსაცნობი ნიშნებით და გაისროლა რაკეტა გორის რაიონში, წითელუბნის დასახლებული პუნქტის მახლობლად მდებარე რადიოსალოკაციო სადგურის მიმართულებით. შვედი, ამერიკელი, ლატვიელი და ლიტველი ექსპერტების ჯგუფის მიერ 15 აგვისტოს გამოქვეყნებულ დასკვნებში ხაზგასმულია, რომ თვითმფრინავმა საქართველოს საჰაერო სივრცე გადაკვეთა რუსეთის მხრიდან. ამჟამად საჰაერო ინციდენტს იკვლევს ექსპერტთა კიდევ ერთი საერთაშორისო ჯგუფი – დიდი ბრიტანეთის და ესტონეთის წარმომადგენლები.

**REGNUM**

**21 აგვისტო**

№ 162. ოთხშაბათი, 22 აგვისტო, 2007 წელი.

„ვარდოსანო“ ბიჭებო, ჯერ ცხოვრების დონე იმ ნიშნულამდე აიყვანეთ, მაშინ რომ იყო და მერე იქილიკეთ, რამდენიც გინდათ. თინეიჯერები ეგებ მოატყუოთ, მაგრამ ჩვენ, ვინც იმ ცხოვრებასაც მოვესწარით და ამასაც, თვალებს ხომ ვერ აგვიხვევთ



◎ მეზობლებთან

# სპეცოპერაცია თუ...

## ინგუშეთში ათასობით ჯარისკაცი შეიყვანეს ჯავშანტექნიკასთან ერთად

**რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების დამატებითი ძალები მოიზიდეს ინგუშეთში, სადაც კომპლექსურ-პროფილაქტიკურ სპეცოპერაციას აპირებენ.**

ეს ახალი კავკასიური ამბები 1999 წლის აგვისტოს შფოთიან ატმოსფეროში გვაბრუნებენ. ისევ ჯარისკაცებისა და ჯავშანტექნიკის შეყვანა, ისევ ამის გაკეთება წინასაარჩევნო წლის მეორე ნახევარში, ისევ კანცელარიული სახელწოდების გამოგონება — „ერთობლივი სპეციალური კომპლექსური პროფილაქტიკური ოპერაცია“.

ამ რესპუბლიკის პრეზიდენტი მურატ ზიაზიკოვია. აბა, ეგ რა ხელმძღვანელია და რანაირი მილიცია ჰყავს, თუ დამნაშავეობასთან ბრძოლისათვის შინაგანი ჯარების დახმარება დასჭირდა?

გავიხსენოთ: 16 ივლისს ინგუშეთის სტანიცა ორჯონიკიძევსკაიაში მოკლეს მათემატიკის მასწავლებელი ლუდმილა ტერეხოვა ორ შვილთან ერთად (მოგვიანებით დაკრძალვაზე აფეთქებამ იქუხა და 10 კაცი დააშავა); იმავე დღეს ხელის ყუმბარმტყორცნიდან დაუშინეს სახლს, სადაც ზიაზიკოვის ოჯახი და ნათესავები ცხოვრობენ; 22 ივლისს კარაბულაკში დახვრიტეს დიდჩინოსანი ვახა ვეძიჟევი; 27 ივლისს მაგასში ცეცხლი გაუხსნეს ინგუშეთში უშიშროების ფედერალური სამსახურის სამმართველოს შენობას...



პირველი ორი ომიც მსგავსი ევფემიზმებით შენიღბეს: 1994-ში — „კონსტიტუციური წესრიგის დამყარება“, 1999-ში „კონტრტერორისტული ოპერაციაო“. როგორც გინდა დაარქვი — არსი ომია.

პროფილაქტიკური ოპერაცია ინგუშეთში პრინციპულ წარმატებებს ვერ მოიყოლებს, — ჯარისკაცებს ცუდად ეხერხებათ დივერსანტების დაჭერა — თუმცა საბოლოოდ დაასამარებს ისეთ პოლიტიკოსს, როგორიც

... რესპუბლიკაში შეყვანილია 2500-მდე (!ძ სამხედრო მოსამსახურე საშტატო საავტომობილო და ჯავშანტექნიკით...

**ვადიმ რეჩკალოვი, „МК“**

◎ ფიქრებწაღებული

# საქართველო ვერ დაიბრუნებს აფხაზეთს

**ამ პროგნოზის ავტორია სერგეი კარაგანოვია, 1952 წელს დაბადებული, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, რმა-ის ევროპის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე და აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის წამყვანი ანალიტიკური ჟურნალების მიერ შედგენილ მსოფლიოს 100 ყველაზე გავლენიანი ინტელექტუალის სიაში შემავალი.**

რატომ და როგორ მოიძულეს საქართველო და ქართველები ასეთმა სანაქებო რუსეთელმა ინტელექტუალებმა ცალკე გარკვევის საგანია. ფაქტი ისაა, რომ ჩვენდამი არანაკლებ მტრულმა „კომსომოლსკაია პრავდამ“ სერგეი კარაგანოვთან საუბარს მთელი ორი გვერდი დაუთმო („КПБ Грузии“, 17-23 აგვისტოძ და ამ ინტერვიუში შევიდა პარაგრაფი „საქართველო ვერ დაიბრუნებს აფხაზეთს“, რომლის თარგმანსაც გაწვდით:

**„ — როგორ ბედს უწინასწარმეტყველებთ, თქვენ დნესტრისპირეთსა და აფხაზეთს?**

— მოლდავეთის მთლიანობის აღდგენა შესაძლებელია, ოღონდ დნესტრისპირეთს განსაკუთრებული სტატუსი ექნება, იქ დარჩებიან რუსეთის სამხედრო ბაზები. ეს იქნება ფედერაცია, თუმცა ავტონომიის მაღალი ხარისხით.

ამის თაობაზე ჩვენ უკვე პრაქტიკულად მოველაპარაკეთ მოლდავეთს, მაგრამ ევროკავშირი და კიდევ მეტად აშშ პროცესს ხელს უშლიან: არ სურთ, რომ ის რუსეთული სცენარით მიდიოდეს.

აფხაზეთს რაც შეეხება, 15 წლის განმავლობაში ის, ფაქტობრივად, ისეთივე სახელმწიფო გახდა, როგორც ყველა სხვა. შექმნა თავისი ინსტიტუტები, არცთუ იშვიათად ძლიერ სახელმწიფოებში რომაა, იმათზე ეფექტიანები. შექმნა სასამართლო სისტემა, სახელმძღვანელოები, საკუთარი მენტალური მითოლოგიაც კი. შანსები საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ოდესმე დაბრუნებისა ნულამდეა დაყვანილი“.

... სწორედ ასე და არა სხვანაირად და ეგ იმიტომ, რომ ამგვარია დიდი ჩრდილოელი მეზობლის ნება-სურვილი: დნესტრისპირეთი დაუბრუნოს დედა-მოლდავეთს, აფხაზეთი კი დედა-საქართველოს — არა.

ვსარგებლობ შემთხვევით და შეკითხვას დავსვამ: თითქმის ყველა რუსეთული გაზეთი მტრულადაა განწყობილი საქართველოს მიმართ; იმათგან ორს თბილისური „პრაპისკაც“ აქვს: „კომსომოლსკაია პრავდასა“ და „არგუმენტი ი ფაქტის“. პირველი პარასკევობით გამოდის და აწერია კიდევაც — „საქართველოშიო“. მეორეს რამდენიმეგვერდიანი ჩანართი აქვს — „არგუმენტი ი ფაქტი. თბილისი“. რაღაც ვერ ჯდება ლოგიკის საზღვრებში: საკუთარ, სისხლხორცეულ გამოცემებს აწიოკებდე და ქუჩაში გამოყრილ, ორ „შავრაზმელს“ კი აქვე ითმენდე. არა, არა, განა იმათი დარბევისკენაც მოვუწოდებ ვინმეს — არ ვარ მე ის კაცი — უბრალოდ, რეალობას აღვნიშნავ...



◎ ვარაუდი

# საქართველოს ომის გაჩაღება მოუსურვებია

**ისე ჩანს, თბილისმა გადაწყვიტა რუსეთზე მთელი მსოფლიოს მისევა და მოითხოვა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის ექსტერნული გამართვა „აგრესიის“ — საქართველოში უცნობი რაკეტის ჩამოვარდნის ფაქტზე.**

თავის მხრივ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის შონ მაქქორმაქის ენა-პირით, მწვავედ დაატყდა თავს რუსეთს და, ფაქტობრივად, მხარი დაუჭირა თბილისის ბრალდებებს. ეგეც კია, მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის კონსულტაციები უკვე დაიწყო ეგების ამერიკელმა პარტნიორებმა შეახურონ საქართველოს ხელმძღვანელები, რომელიც სულ უფრო ემსგავსება „აშშ-ის ოკეანისმიღმა შტატს“. ამასობაში უცნაურობანი ამ საქმეში მატულობენ.

რაკეტა ქართველებმა რატომღაც ააფეთქეს. რატომ გადააქციეს ნამსხვრევების გროვად მთელი საბრძოლო მასალა? ზედმეტი ნამტვრევის შემოსაჩეჩებლად თუ მოსაცილებლად?...

აი, თვით საქართველოში კი ოპოზიცია ომის გაჩაღებაში სდებს ბრალს სააკაშვილის მთავრობას, ამტკიცებს რა, რომ დაბომბვა თვით ქართველებმა მოაწყვეს.

**ნიკიტა კრასნოკოვი, „КП“**

# გაიცანით — საბჭოთა წარმონაქმნია...

**პირზე მომდგარ სიტყვას ყველას თქმა რომ არ უნდა, მუდამ რომ გვახსოვდეს, არ იქნებოდა ურიგო, მით უფრო, თუ პარლამენტარები ვართ, მინისტრები, ან კიდევ უფრო ზემოთები. დაიხ, მინისტრის ენა-პირი განსაკუთრებით ძვირად ფასობს. ჰოდა, თუ ასეა, რამ გათქმევინა, შე მადლიანო, მწერალთა კავშირი საბჭოთა წარმონაქმნიაო? როგორ ფიქრობთ მაგ მინისტრული ჭკუით — რაც საბჭოურ ხანაში წარმოქმნილა, განა ყველაფერი გასაკიცხი და დასაგმობია?..**

მე ცულლუტს, დოქსოპულო მახსენდება — შენ დედა გყავსო? რომ ჰკითხეს. — არველაძე, შენ მამა გყავს? მერედა, შე კაი მამის შვილო, ის მამა რომ საბჭოთა დროში თბილისის ერთ-ერთი რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე ბრძანდებოდა (თუ თავმჯდომარის მოადგილეძ, აღმასკომი რა, იმ დროის წარმონაქმნი არ იყო? ამიტომ მოვიხსენიოთ აუგად? რაღა მამა — თვითონ შენ, ბიჭიკო-მინისტრო, საბჭოურ პერიოდში არ დაიბადე-გაიზარდე და განათლება არ მიიღე? იმ პერიოდის „წარმონაქმნი“ არა ხარ? და რა ვქნათ ახლა, ამიტომ „დაგშალოთ“?

შოთა რუსთაველის თუ მწერალთა კავშირის წევრი არ იყო, იმიტომაც ვერ დაწერა „ვეფხისტყაოსანიო“, რომ გვმოძღვრავ ტელეკრანიდან და ეს მარჯვე ნიშნისმოგება გგონია და ენამახვილობა — მერედა, ეგ რა საბუთია? ეკონომიკური განვითარების სამინისტროც არ არსებობდა შოთას დროს, მაგრამ იმიტომ ვერ იყო საქართველო განვითარებული და ოქროს ხანაში მდგარი, აი!...

მწერალთა კავშირი საბჭოთა წარმონაქმნიაო... თავისუფლების ინსტიტუტი თუ „ანტისაბჭოთა“ წარმონაქმნია, თუ უახლესი წარმონაქმნია, იმიტომაც გამოვიდა კარგი რამ — ცანგალასი არ იყოს, — „დაუმშვენდა ისე ცხვირი“... ამ ხსენებაზე, თავისუფლების ინსტიტუტის შენობა არ შეგაქვთ საპრივატიზაციო ნუსხაში? თუ აპირებთ იქიდან „ძვირადღირებული“ თანამშრომლების გამოყრას და როდის, რომელი რიცხვის დილის ხუთის ნახევარზე?..



კი, იყო ერთი დრო, როცა ქვეყანაში **გადასახლების** აჩრდილი დაძრწოდა. ახლა საქართველოში ბევრნაირი აჩრდილი დაძრწის, ერთ-ერთია **აჩრდილი გამოსახლებისა.** ეგ აჩრდილი, შემდგომ კოსტავას 14-ისა, აგერ, მაჩაბლის 13-თან ატუზულა. Nj kb tot ,eltn!..

ამჯერად მე სულაც არ მანაღვლებს საბჭოთა ხანის აპოლოგეტად ჩამთვლით თუ არა და გეტყვით ერთსაც: „ვარდოსანო“ ბიჭებო, ჯერ ცხოვრების დონე იმ ნიშნულამდე აიყვანეთ, მაშინ რომ იყო და მერე იქილიკეთ, რამდენიც გინდათ. თინეიჯერები ეგებ მოატყუოთ, მაგრამ ჩვენ, ვინც იმ ცხოვრებასაც მოვესწარით და ამასაც, თვალებს ხომ ვერ აგვიხვევთ. ის ცხოვრება ეგებ მთლად საამური არა, მაგრამ სავსებით ასატანი და გასაძლისი გახლდათ. თქვენ კი, შვილოსან, ეს ქვეყანა მხოლოდ თქვენთვის სანავარდო გგონიათ და გინდათ...

**თამაზ ებანოიძე**

● შემთხვევითი როდია, რომ ქართული ფეხბურთის პირველი თაობის მრავალი წარმომადგენელი — მათ შორის ისეთი ცნობილები, როგორებიც ბორის პაიჭაძე, გრიგოლ გაგუა, ასლან ხარბედია, გიორგი ანთაძე და ბევრი სხვაც, ფოთელები იყვნენ. ასე რომ, სწორია, როდესაც ამბობენ, ქართული ფეხბურთის აკვანი ფოთში დაირწაო



⊙ რაც დავიწყებით არ იბინდება

# გულშემატკივრის მოგონებები, ანუ ქართული ფეხბურთი ჩემს ცნობიერებაში

**წერილი პირველი**

*„მოგონებები ერთადერთი სამოთხეა, საიდანაც ჩვენ ვერ გამოგვაძევებენ“*
*ჟ.პ.რიხტერი*

**ამ მოგონებებს 1936 წლიდან ვიწყებ. რატომ მაინცადამაინც 1936 წლიდან? — შეიძლება ასეთი კითხვა გაუჩნდეს რომელიმე ახალგაზრდა ფეხბურთის მოყვარულს. უფროსი, ან უფრო ზუსტად, უხუცესი თაობის გულშემატკივარი კი დაუფიქრებლადაც უცბად უპასუხებს: იმიტომ, რომ სწორედ ამ წელს გავიდა დიდ სპორტულ სარბიელზე ქართული ფეხბურთი, კერძოდ კი მისი უცვლელი და სახელოვანი ფლაგმანი — თბილისის „დინამოს“ გუნდი, რომელიც ჩაერთო საბჭოთა კავშირად წოდებული ვეება ქვეყნის ახლადდაარსებულ საფეხბურთო ჩემპიონატში.**

დიახ, ეს გახლდათ უმაგალითო გეოგრაფიული და დემოგრაფიული მასშტაბების ჩემპიონატი, რომელშიც იწრთობოდნენ ეროვნული საფეხბურთო სკოლების, მათ შორის, ქართველი ფეხბურთელების თაობები — ოლიმპიური თამაშებისა და ევროპის მომავალი ჩემპიონები და პრიზიორები, საერთაშორისო გათამაშებების გამარჯვებულები. ეს ძალიან ძლიერი და „სტილისტურად მრავალფეროვანი“ ჩემპიონატები იყო. „საბჭოთა“ ფეხბურთის ამ წარმატებებში მუდამ შესამჩნევი და წონადი იყო ქართველი ფეხბურთელების წვლილი.

მაგრამ, აქ ბუნებრივად იბადება კიდევ ერთი კითხვა: ნიშნავს თუ არა ყოველივე ზემოთქმული, რომ ქართული ფეხბურთის ისტორიის ათვლის წერტილად სწორედ ეს 1936 წელი უნდა მივიჩნიოთ? ცხადია, არა, რადგანაც მანამდე ქართულმა ფეხბურთმა საკმაოდ საინტერესო და შინაარსიანი გზა განვლო.

ბევრს, ალბათ, გაუგონია ფრთიანი ფრაზა: „ქართული ფეხბურთი მარგანეცით დაიწყო“, რომელიც ყველა დროის უდიდეს ქართველ ფეხბურთელს, „ქართული ფეხბურთის გენერალისიმუსს“ (ჩემი გამოთ-



**ბორის პაიჭაძე**
**მეგობრული შარჟი**

ქმაა!) ბორის პაიჭაძეს ეკუთვნის.

მართლაც ასე იყო. ფეხბურთის შესახებ ქართველებმა პირველად გაიგონეს გასული საუკუნის დასაწყისში, როდესაც დაიწყო ჭიათურის მარგანეცის საბადოს ექსპლუატაცია და შავი ქვის ინტენსიური საზღვარგარეთული ექსპორტი. ფოთის ნავსადგურში ხანგრძლივი დროით ჩერდებოდნენ უცხოური, მეტწილად — ინგლისური გემები, მათი ეკიპაჟის წევრები დასვენების ჟამს მართავდნენ ჩვენთვის უცხო თამაშის — ფეხბურთის მატჩებს, რამაც უმალ მიიპყრო ფოთელი ბიჭების ყურადღება.

შემთხვევითი როდია, რომ ქართული ფეხბურთის პირველი თაობის მრავალი წარმომადგენელი — მათ შორის ისეთი ცნობილები, როგორებიც ბორის პაიჭაძე, გრიგოლ გაგუა, ასლან ხარბედია, გიორგი ანთაძე და ბევრი სხვაც, ფოთელები იყვნენ. ასე რომ, სწორია, როდესაც ამბობენ, ქართული ფეხბურთის აკვანი ფოთში დაირწაო. სულ მალე საფეხბურთო „ეპიდემია“ საქართველოს სხვა ქალაქებსაც მოედო. უპირველეს საფეხბურთო ცენტრად კი თბილისი იქცა.

ამ „პრეისტორიული“ ამბების აღწუსხვა ჩემ ამოცანას არ შეადგენს. ვიტყვი მხოლოდ, რომ უკვე 20-იანი წლებისთვის ჩვენში საფუძველი ჩაეყარა ორგანიზებულ ფეხბურთს, იმართებოდა შეხვედრები არა მარტო ადგილობრივ გუნდებს შორის, არამედ ჩამოსულ (უმთავრესად, რუსეთიდან, უკრაინიდან) გუნდებთანაც. 1925 წ. ჩამოყალიბდა რესპუბლიკის მთავარი გუნდი „დინამო“, რომელიც ზოგჯერ საერთაშორისო შეხვედრებსაც კი მართავდა. რამდენიმე გამარჯვება მოიპოვა საქართველოს ნაკრებმაც, ქართველმა ფეხბურთელებმა მონაწილეობა მიიღეს ამიერკავკასიის ნაკრების წარმატებულ ტურნეში სკანდინავიის ქვეყნებში 1935 წელს. ეს კი უკვე საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობის პროლოგად იქცა. ქართულ ფეხბურთს იმ დროისათვის უკვე საკმაო ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული და მოსალოდნელი იყო, რომ თბილისის „დინამოს“ გათამაშების „ა“ კლასში განაწესებდნენ, მაგრამ სხვანაირად მოხდა.

1936 წელს საგაზაფხულო ჩემპიონატში (იყო კიდევ საშემოდგომო ჩემპიონატიც) თბილისელებისათვის მხოლოდ „ბ“ კლასი გაიმეტეს, სადაც მან წაუგებლად დაიკავა I ადგილი (6 გამარჯვება, 1 ფრე) და „ა“ კლასში თამაშის უფლება მოიპოვა. ასე რომ, „დიდი ფეხბურთი“ ჩვენში 1936 წლის შემოდგომაზე დაიწყო და სწორედ მაშინ ჩადგა მწყობრში „დინამოს“ ჩინებული, ყველა ჩვენგანისათვის ესოდენ საყვარელი სტადიონი, რომელიც ბორის პაიჭაძის სახელს ატარებს.

ამ დროიდან იწყება ჩემი დაინტერესებაც ფეხბურთითა და ფეხბურთელებით. მართალია, პირველად სტადიონზე 1937 წელს მოვხვდი, მაგრამ 7 წლის ბიჭი გაზეთებით უკვე ვადევნებდი თვალს 1936 წლის ჩემპიონატს. მაშინ პირველად გავიგე შოთა შავგულიძის (გუნდის პირველი კაპიტნის), ბორის პაიჭაძის, შურა დოროხოვის, მიშა ბერძენიშვილის, გრიგოლ გაგუასა და სხვათა სახელები.

იმავე ზაფხულს გუნდი ჩაერთო სსრკ თასის პირველ გათამაშებაში და სწორედ ამ დროიდან დაიწყო ჩვენში საფეხბურთო ციებ-ცხელებაც, რასაც ხელი შეუწყო „დინამოს“ სენსაციურმა გამარჯვებამ მის სადებიუტო გამოსვლაში მოსკოვის სტადიონზე საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთ ლიდერზე და 1936 წლის (საშემოდგომო) ჩემპიონზე მოსკოვის „სპარტაკზე“.

საქმე ასე იყო. 1936 წლის 16 აგვისტოს მოსკოველთათვის სავსებით უცნობი გუნდი — თბილისის „დინამო“ მოსკოვში სსრკ თასის გათამაშების მეოთხედფინალში შეხვდა ადგილობრივი „სპარტაკის“ პოპულარულ გუნდს. ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ მოსკოველები ადვილად დაამარცხებდნენ ახალბედა სამხრეთელებს. მაგრამ, ყველას გასაკვირად, თამაში დამთავრდა ფრედ — 3:3 (დასაწყისში თბილისელები აგებდნენ 0:2!). დამატებითი დრო არ დაინიშნა იმ უბრალო მიზეზით, რომ დაბნელდა. წინასწარ ხომ არავის მოუვიდოდა თავში, რომ საჭირო გახდებოდა დამატებითი დრო. ამიტომ განმეორებითი შეხვედრა — 20 აგვისტოს — ერთი საათით ადრე დაინიშნა.

ამ დრამატული მატჩის ძირითადი დროც კვლავ 3:3 დამთავრდა (ამჯერად, უკვე თბილისელები იგებდნენ 3:1). დამატებით დროში კი „დინამომ“ კიდევ სამი უპასუხო გოლი გაიტანა და თამაში დამთავრდა სენსაციური შედეგით 6:3.

მოსკოვის პრესამ აღტაცებული სტრიქონები უძღვნა ქართველ ფეხბურთელებს. ფეხბურთის ცნობილი სტატისტიკოსი და ისტორიკოსი კონსტანტინე ესენინი წერდა, ეს თამაში ჩვენი სიცოცხლის ბოლომდე გვემახსოვრებაო. თბილისელებს „დიდი ურუგვაელები“ შეარქვეს (ურუგვაის ნაკრები იმ დროისათვის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი იყო). ადვილად მოიგეს ჩვენებმა შემდეგი შეხვედრაც ნოგინსკის „კრასნოე ზნამიასთან“ (5:1) და 28 აგვისტოს ფინალურ შეხვედრაში მოსკოვის სიძლიერით მესამე გუნდთან „ლოკომოტივთან დადგნენ პირისპირ. თითქოს გამარჯვება ჩვენ უნდა დაგვრჩენოდა, მაგრამ დავმარცხდით 0:2.

აქ პირველად იჩინა თავი ქართული ფეხბურთის ერთმა სავალალო „სენმა“: ფსიქოლოგიურმა არასტაბილურობამ და გადამწყვეტი თამაშების ნეგატიურმა სინდრომმა, რაც საკმაოდ დიდ ხანს გაჰყვა ჩვენ გუნდს.

ეს სურათი განმეორდა საშემოდგომო ჩემპიონატშიც, რომლის პირველი მატჩიც კიევის „დინამოსთან“ ჩვენებმა 7 სექტემბერს თბილისში გამართეს — 2:2). ამის შემდეგ კვლავ წარმატებით ითამაშეს მოსკოვში ადგილობრივ გუნდებთან: დაამარცხეს მოსკოვის „სპარტაკი“ (1:0), ფრედ ითამაშეს (1:1) მომავალში თავის ყველაზე ძნელ მოწინააღმდეგესთან — მოსკოვის „დინამოსთან“, უკვე თბილისში — დაამარცხეს ცდკა (4:0).

**გულბათ ტორაძე**
**(გაგრძელება იქნება)**

## ⊙ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, რა განსხვავებაა ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სახელშეკრულებო დავებს შორის და როგორი წესით განიხილება თითოეული მათგანი?**

**მაია მდინარაძე**

**პასუხი:** ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სახელშეკრულებო დავებს შორის განსხვავება ისაა, რომ თუ ის დავა საჯარო სამართლებრივია, ე.ი. დაკავშირებულია სახელმწიფოს ამოცანებთან და მიზნებთან, მაშინ იგი განეკუთვნება ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით, ხოლო თუ დავა კერძო სამართლებრივია, მისი განხილვა უნდა მოხდეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, ზუსტად მიგვითითოთ, როდიდან შევიდა ძალაში ახალი შრომის კოდექსი?**

**რაულ ჯინჯიხაძე**

**პასუხი:** მოქმედი შრომის კოდექსი ძალაშია 2006 წლის 4 ივლისიდან (საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულია 2006 წლის 25 მაისს).

* * *

**კითხვა: ამ ბოლო დროს ხშირად ახსენებენ სხვადასხვა სახის (მათ შორის ფრანშიზინგის) ხელშეკრულებებს. იქნებ აგვიხსნათ, რა იგულისხმება ფრანშაიზინგის ხელშეკრულებაში. უფრო კონკრეტულად, გვაინტერესებს, მოკლევადიანია თუ გრძელვადიანი იგი?**

**ვასილ ოთარაშვილი**

**პასუხი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 607-ე მუხლის შესაბამისად, ფრანშაიზინგის ხელშეკრულება გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობაა, რომლითაც დამოუკიდებელი საწარმოები, საჭიროების მიხედვით, ორმხრივად კისრულობენ ვალდებულებას.



ამასთან მნიშვნელოვანია ჩანს ხელშეკრულების გრძელვადიანობა და მხარეთა შორის უფლება-მოვალეობათა ასეთი განაწილება აშკარად მიუთითებს, რომ ხელშეკრულება ორმხრივია.

* * *

**კითხვა: ვინაიდან ეს საკითხი ბევრს გვაინტერესებს, იქნებ მარტივად აგვიხსნათ, რა არის ტენდერი?**

**მერი ოზოლაძე**

**პასუხი:** მარტივად რომ ვთქვათ, ტენდერი იგივე კონკურსია, რომლის მიზანია იმ ფიზიკური თუ იურიდიული პირის გამოვლენა, რომელსაც საუკეთესო სატენდერო პირობები აქვს წარმოდგენილი, რითაც სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფაა შესაძლებელი.

* * *

**კითხვა: ვარ შრომის II ჯგუფის ინვალიდი. ადრე ვსარგებლობდი შეღავათით გაზზე, წყალზე და საოჯახო ნარჩენების გატანაზე. ახლა ყველაფერს მახდევინებენ — შეღავათები გაუქმდა. მართლა ასეა?**

**ოთარ მორგოშია**

**პასუხი:** სამწუხაროდ, მართლა ასეა. მნიშვნელოვნად გამოსადეგული შეღავათების რეფორმის მერე პირები (იგივე II-ჯგუფის ინვალიდები) მოქმედი კანონის თანახმად ვერც ერთი სახის გადასახადზე შეღავათით სარგებლობის უფლებას ვერ იყენებენ.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

● მოასპარეზეთა შორის გახლდათ ქართველი დიდოსტატი მიხეილ მჭედლიშვილი, რომელმაც 11 შესაძლებლობიდან 9,5 ქულა დააგროვა. მსგავსი შედეგით დაამთავრეს ტურნირი ჩეხმა დავიდ ნავარამ და ინდოელმა კრიშნან სასიკირანმა. უკეთესი კოეფიციენტით პირველი ადგილი ნავარას ხვდა, მჭედლიშვილი მეორე იყო



## ორბიტაზე

### ჩხუბი რინგზე უნდა

**ნევადის შტატის (აშშ) ათლეტიკურმა კომისიამ 200 ათასი დოლარით დააჯარიმა ამერიკელი მოკრივე ბერნარდ ჰოპკინსი ორთაბრძოლისწინა აწონვის შემდეგ თანამემამულე უინკი რაიტთან ჩხუბის გამო.**

21 ივლისს ლას-ვეგასში ბრძოლის შემდეგ ჰოპკინსმა საჯაროდ განაცხადა, რომ აყალმაყალი განზრახ გამოიწვია, რათა მათი ბრძოლისადმი ფართო საზოგადოების ინტერესი გაეცხოველებინა.

ამერიკლის ჯარიმა 6 პროცენტია ორთაბრძოლის ჰონორარისა, რაც 3 მილიონ დოლარს შეადგენდა.

### მარადონას ამერიკა სძულს



**მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავ დიეგო მარადონამ, ვენესუელას პრეზიდენტთან უგო ჩავესთან ერთად რომ მონაწილეობდა საკვირაო ტელეშოუში, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატებისადმი თავის სიძულვილზე:** „მე მჯერა ჩავესისა, ყველაფრისა, რასაც ფიდელ კასტრო აკეთებს. ყველაფერი რასაც ჩავესი აკეთებს, ჩემთვის უკეთესია ყოველ გასაკეთებელზე. მძულს ყველაფერი, რაც აშშ-დან გამოდის. სულითა და გულით მძულს!“ არგენტინელი კერპის გამოსვლას თან ახლდა აუდიტორიაში შეკრებილი ჩავესის თაყვანისმცემლების მქუხარე ტაში.

### იაგრს ვერავინ სჯობს

**კარლოვი ვარში გაიმართა ჩეხეთის საუკეთესო ჰოკეისტის არჩევის 39-ე საზეიმო ცერემონია. „ოქროს ყვანჭის“ მფლობელი ზედიზედ მესამედ გახდა იარომირ იაგრი, 48 ქულით ძალზე რომ გაუსწრო მეორე ადგილზე გამოსულ დომინიკ ჰაშეკს (355) , რომელიც ამ საპატიო ჯილდოს ხუთგზის მფლობელია.**

იაგრისთვის ეს ნადავლი მერვეა. იგი საპატიო ყვანჭს პირველად 1995 წელს დაეუფლა.

ჩეხეთში ახლა იმაზე წუხან, რომ არ ჩანს ახალი მოთამაშე, რომელიც კონკურენციას გაუწევს იაგრს. მეორე ადგილზე გამოსული ჰაშეკი ხომ 7 წლით მასზე უფროსია.

## ჭადრაკი

### ანანდი ჩემპიონია

**გერმანიის ქალაქ მაინცში დამთავრდა სწრაფ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალში ინდოელმა ვიშვანათან ანანდმა სომეხ ლევონ არონიანს სძლია და ჩემპიონობა მოიპოვა.**



იქვე მოეწყო დიდი საერთაშორისო ტურნირი ასევე სწრაფ ჭადრაკში. მოასპარეზეთა შორის გახლდათ ქართველი დიდოსტატი მიხეილ მჭედლიშვილი, რომელმაც 11 შესაძლებლობიდან 9,5 ქულა დააგროვა. მსგავსი შედეგით დაამთავრეს ტურნირი ჩეხმა დავიდ ნავარამ და ინდოელმა კრიშნან სასიკირანმა. უკეთესი კოეფიციენტით პირველი ადგილი ნავარას ხვდა, მჭედლიშვილი მეორე იყო.

## ჭიდაობა

### მასპინძლობს ჩინეთი

**მოგეხსენებათ, გაისად ჩინეთის დედაქალაქი პეკინი ზაფხულის 29-ე ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის, ფაქტობრივად, ყველა ბაზა მზადაა და ახლა მათი გამოცდა მიმდინარეობს.** ერთ-ერთი ტურნირი გუშინ დაიწყო — ეს არის ახალგაზრდა მოჭიდავეთა მსოფლიო პირველობა. ოლიმპიური ხალიჩა „კლასიკოსებს“ დაეთმო. სხვებთან ერთად პაექრობაში ქართველი ფალავნებიც ჩაებნენ. ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ გიორგი გოგბერაშვილი (50 კგ.ძ, ლაშა გოგიტაძე (55ძ, რევაზ ლაშხი (60), ანტონ გამაგეიშვილი (66ძ, ბექა როყვა (74ძ, სერგო ნინუა (84ძ, გენო ხელაია (96ძ და დიმიტრი ჯავახიშვილი (მძიმე წონაძ; გუნდის მთავარი მწვრთნელია ვლადიმერ ადეიშვილი.



იმავე ხალიჩაზე 25-26 აგვისტოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეები იასპარეზებენ.

## კალათბურთი

### გზა — ელიტისაკენ

**ევროპის კალათბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, B დივიზიონში 14 ქვეყნის ნაკრები გუნდი სამ ჯგუფად არის დაყოფილი. C ჯგუფის შესახებ უკვე გაუწყეთ.**

A ჯგუფში 4 გუნდი ასპარეზობს. ისინი ორთაბრძოლებს 25 აგვისტოდან განაახლებენ. ამ დღეს ითამაშებენ: კვიპროსი — რუმინეთი, ირლანდია — შვეიცარია.

**1 სექტემბერი.** შვეიცარია — კვიპროსი, რუმინეთი — ირლანდია.

**5 სექტემბერი.** კვიპროსი — ირლანდია, შვეიცარია — რუმინეთი.

**აქ სატურნირო მდგომარეობა ასეთია:** რუმინეთი — 6 ქულა, შვეიცარია — 5, ირლანდია — 4, კვიპროსი — 3 ქულა.

B ჯგუფში 5 ნაკრებია თავმოყრილი უმაღლეს დივიზიონში გადასასვლელად. გაუწყებთ მომავალი პაექრობების კალენდარს:

**25 აგვისტო.** ბელარუსი — ალბანეთი, სლოვაკეთი — ჰოლანდია.

**29 აგვისტო.** ჰოლანდია — ბრიტანეთი, ალბანეთი — სლოვაკეთი.

**1 სექტემბერი.** ბრიტანეთი — ალბანეთი, სლოვაკეთი — ბელარუსი.

**5 სექტემბერი.** ბელარუსი — ბრიტანეთი, ალბანეთი — ჰოლანდია.

აქ 9 ქულით ჰოლანდიელები (5 თამაშიძ ლიდერობენ. ქულით ნაკლები აქვთ ბელარუსებს. 4-4 მატჩიდან 6-6 და 4 ქულით მომდევნო ადგილებს ბრიტანელები, სლოვაკები და ალბანელები იყოფენ.

ქვეჯგუფების გამარჯვებულები და საუკეთესო მეოთხეადგილოსანი გავლენ ფლეი-ოფში. 11 და 15 სექტემბერს ნახევარფინალებია შინ და გარეთ. ორი იღბლიანი ნაკრები A ლიგის საგზურს მოიპოვებს. ვიმედოვნებთ, რომ მათ შორის საქართველოს ეროვნული გუნდიც იქნება.

№ 162. ოთხშაბათი, 22 აგვისტო, 2007 წელი.

## კადრი



## ჩვენებურზე

### მარია შარაპოვა ფინალში? ეს უსინდისობაა!

**რუსეთის ქალთა საჩოგბურთო ნაკრებმა, როგორც ცნობილია, პირდაპირ ჭიპი მოიწყვიტა ფედერაციის თასის ფინალში მოსახვედრად და ეს მარია შარაპოვას გარეშე გააკეთა.**

ამის მერე უცებ რომ მოეპრიანოს მაშას მოსკოვში ჩამოსვლა (სადაც ფინალი უნდა გაიმართოსძ და თამაშიც მოენებოს, ლამაზი იქნება? ასეთ კითხვაზე საპასუხოდ დაუკავშირდა „არგუმენტი ი ფაკტის“ რედაქცია ანა ჩაკვეტაძეს, ქართულგვარიან წევრს ნაკრებისა, რომელმაც ახლახან აშშ-ში ორი პრესტიჟული ტურნირი ზედიზედ მოიგო.

— ფედერაციის თასის ფინალში ის შემადგენლობა გამოვა, რომელმაც გუნდი აქამდე მიიყვანა. ვფიქრობ, რომ უპატიოსნობა იქნებოდა კიდევ ვინმეს მოწვევა, თუმცა, რასაკვირველია, ეს მწვრთნელის, შამილ ტარპიშჩევის გადასაწყვეტია... მაშას თუ ნაკრებში



განაცხადებენ, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, რეიტინგის მიხედვითაც ხომ ის უფრო ზემოთაა. ეგ კია, რომ, ჩემი აზრით, საეჭვოა მოსკოვში, ფინალზე მისი ჩამოსვლა.

# დაიჯესტი

**ბევრი ფიქრობდა, რომ მობილური ტელეფონების ფართო მოხმარება ცუდად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. კერძოდ, მობილური ტელეფონის გამოსხივება ცუდ გავლენას ახდენს ადამიანის ტვინსა და კისრის მალებზე. თუმცა მეცნიერებმა მობილური ტელეფონის ხმარებისას გამოსხივებასა და ონკოლოგიურ დაავადებას შორის კავშირი ვერ აღმოაჩინეს**



## ხუმარსიტყვა

# ორიენტაცია

**ქალაქში აგვისტოს ხვატი იდგა და ბარი ლუდის მოყვარულებით იყო გაძეძგილი. მაღალმა, მხრებში ოდნავ მოხრილმა ქულაწვერა ახალგაზრდამ, რომელსაც ძაფძაფა სასმელით სავსე კათხა ეჭირა, დარბაზს ზანტად გადახედა, რატომღაც თვალი განაპირა მაგიდასთან მჯდომ ცხენის კუდივით თმაგამონასკულ მამაკაცისკენ გაექცა და გვერდით მიუსკუპდა. დამხდურს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ფიქრიანად იჯდა, სიგარეტს ექაჩებოდა და ლუდს როგორღაც მიპარვით, დაგემოვნებით წრუპავდა.**

— ვერაფერს დაუწუნებ, მშვენიერი ლუდია, — თქვა წრუპიას გასაგონად ქულაწვერამ და მეზობელს თვალებში გამომწვევად შეაცქერდა.

— ჰო, რომ მომწონს, იმიტომ შემოვდივარ ასე ხშირად, — მიუგო საუბრის წამომწყებს.

— აქამდე რომ არ შემიმჩნევიხარ?

— რა შესამჩნევი მე ვარ, — მოისაწყლა თავი წრუპიამ.

— რას ამბობ, ინტელექტუალურად გამოიყურები, მოძრაობაც ძალზე დახვეწილი და სექსუალური გაქვს.

— კარგი ერთი, ნუ გამაწითლე. თუ ასეა, ერთმანეთი ხომ არ გაგვეცნო?

— დიდი სიამოვნებით, — გაიბადრა თანამოსაუბრე და ხელი გაუწოდა — პლეხანოველი ანზორა.

— ვერელი გიგა, — თქვა მეორემ, თან წინადადება შესთავაზა — გაცნობისა თითო ვისკი ხომ არ გადაგვეკრა?

— რატომაც არა, — დაეთანხმა ანზორა, — შენნაირ ბიჭთან ერთს კი არა, ორსაც სიამოვნებით გადავუძახებდი.

ვისკის შემდეგ საუბრის სალერღელი უფრო აეშალათ. მალე ინტიმზეც გადავიდნენ.

— მეგობარი თუ გყავს? — დაინტერესდა გიგა.

— მყავდა, მაგრამ, საუბედუროდ, ამ ორი კვირის წინათ დავცილდით.



— რატომ, ხასიათები ვერ შეუწყვეთ?

— ჩვენ კი, მაგრამ კანონი გამოგვადგა უხასიათო, მისი გადამკიდე, ვინ გაგიჩერდება!

— აა, ვერ იქორწინეთ?

— აბა რას გეუბნები, არადა გადასარევი გარეგნობისა და ზნეობის ბიჭი იყო.

— მეც ზუსტად შენს დღეში ვარ, — ამოიოხრა გიგამ, — ჩემი ბიჭის დაკარგვის შემდეგ ლამის ჭკუიდან გადავიდე.

— ყველაფერი ხელისუფლების ბრალია, ძმაო, ეგ დალოცვილი მარტო იმაზე ფიქრობს, ვის რა წაგლიჯოს, ჩვენი ნაღდი სექსუალების ინტერესები კი ფეხებზე ჰკიდია.

— ჰო, რაც მართალია მართალია, ძაან ჩემფეხება და გოიმი მთავრობა გვყავს.

— მთავრობა, თორემ, პარლამენტი ხო ერთთავად ვარსკვლავების კრეფაშია, ხომ ხედავ, ამდენ კანონებს იღებს და ჩვენ სასარგებლოდ დღემდე ერთი სიტყვაც არ დასცდენია.

— პირიქით, ვერ გაიგე, კუკავამ რა თქვა?

— რაო, მაგას რაღა უნდა?

— ამას წინათ პრინციპულად მოითხოვა — კანონში პირდაპირ ჩავწეროთ, რომ მექორწინე წყვილიდან ერთი მაინც უეჭველად ქალი იყოსო!

— ფუი ამის... — ხმამაღლა შეიკურთხა ანზორამ, — ამის შემდეგ რა უნდა ელაპარაკო, ოპოზიციონერი მაინც არ იყოს, ეგ ჩემალალა.

— აბა, კაცო, ჩვენს გარდა რომელი ქვეყნის ხელისუფალთ მოუვათ აზრად, ქორწილის შემდეგ ლოგინში ამოწმონ — კაცები გორაობენ ერთად თუ ქალები?

— მაგას თავი გაანებე, ხალხიც რო გოიმია?

— ჰო, ამას წინათ არ იყო, რო გვემუქრებოდნენ — აბა ერთი გაბედეთ აღლუმის მოწყობა და ნახავთ, რა ხურდას მიიღებთო...

— ხურდას ჩვენ კი არა, ეგენი მიიღებენ. ქვეყანას, სადაც სექსუალური უმცირესობის უფლებები დაუცველია, მერწმუნეთ, ნატოში და ევროკავშირში არავინ მიასუნინებს.

— ღმერთო, შენ დაგვიფარე ამ უმეცრებისგან. შენ როგორ ფიქრობ, სამომავლოდ მაინც რამე გვეშველება?

— არაფერი, თუ ქვეყანაში ორიენტაცია არ შეიცვალა, არაფერიც არ გვეშველება.

— ორიენტაცია?

— ჰო, სექსუალურ ორიენტაციაზე გეუბნები. თუ გვინდა ცივილიზებულ ქვეყანას დავემსგავსოთ, პარლამენტში უმრავლესობას ნაციონალები კი არა, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები უნდა შეადგენდნენ.

— ესე იგი, შენ გინდა, რომ ხელისუფლებაში პარტიული ორიენტაცია სექსუალურით შეიცვალოს?

— ჰო, ზუსტად ეგრეა.

— მაგრამ, ხელისუფლებაში ხომ ახლაც საკმაოდ არიან ჩვენი ორიენტაციის წარმომადგენლები?

— არიან, მაგრამ საჩვენო ამინდს მაინც ვერ ქმნიან. აი, როცა იქ უმრავლესობას მოვიპოვებთ, ქვეყანაში ნანატრ დემოკრატიას და ზნეობის აყვავებას მაშინ მივაღწევთ.

— აგაშენა ღმერთმა, — მოიწონა აზრი გიგამ და ასაღგომად გამზადებულ ანზორას მიაჩერდა:

— დაჯე, რა გეჩქარება?

— არა, სასწრაფოდ უნდა მოვტყდე აქედან.

— მასეთი რა მოხდა?

— დარბაზში ჯუმბერა გაიჩითა, ველარ გავჩერდები.

— ვინ ჯუმბერა?

— მეგობარყოფილი, შარშან მისგან მუცელი მომეშალა და ახლა მოსაკლავად დამდევს.

**ოტია ჩართოლანი**

## ტექნოლოგიები

# მობილური ტელეფონი — თანამედროვე ადამიანის მეგობარი

### სოციალური სტატუსის მაჩვენებელი

**არის ასეთი გამონათქვამი „მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინ ხარ შენ“. ამ ფრაზას ქართულ რეალობაში (და არა მარტო ქართულშიძ შეიძლება ასეთი პერიფრაზი გაუკეთდეს — „მაჩვენე შენი მობილური ტელეფონი და გეტყვი ვინ ხარ შენ“.**

როგორც გამოკვლევებმა აჩვენა, Soni Ericssoni-ს ირჩევენ ის პროფესიონალი ახალგაზრდები, რომელთა მიზანი ფინანსური წარმატებაა. ისინი ინდივიდუალისტები არიან.

Nokia-ს ხმარობენ საშუალო ასაკის ადამიანები, რომლებიც დიდ დროს უთმობენ ოჯახს, ზრუნავენ საკუთარ ჯანმრთელობასა და სულიერ წონასწორობაზე.

24 წლამდე ასაკისანი უპირატესობას ანიჭებენ Motorola-ს. ისინი მოდას მისდევენ და ხშირად სტუმრობენ ბომონდურ საღამოებს.

მობილური ტელეფონი LG-ი უნივერსალურია: მას იყენებენ, როგორც დიასახლისები, აქტიური ცხოვრების მიმდევრებიც, წარმატებისკენ მიზანსწრაფულებიც...



Samsung-ი კარიერისტების თანამგზავრია, ასევე მოიხმარენ „ტუსოვშიკებიც“.

ბრიტანელი სოციოლოგების გამოკვლევებით, კაცების უმრავლესობა მობილურ ტელეფონს აღიქვამს, როგორც მათი სოციალური მდგომარეობის სტატუსის მაჩვენებელს. ამასთან, მას იყენებენ საწინააღმდეგო სქესის მოსახიბლადაც. გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ მობილურები ჯეიმს ბონდის სტილში ან ალჭურვილი პლეერებით, ვიდეო ან ფოტოთი, მათ უფრო მომხიბვლელსა და სასურველს ხდის. უფრო მეტიც, საზოგადოებრივ ადგილებში, კაფეებსა თუ რესტორნებში ისინი საკუთარი მობილურების შესაძლებლობების დემონსტრირებას ახდენენ, რათა უფრო სოლიდურად გამოჩნდნენ. „ნავაროჩენი“ მობილური არის საშუალება, რომ „ადგილზე მოსვან“ სხვა მამაკაცებიც და გარკვეულწილად დაამტკიცონ თავიანთი უპირატესობა. შეიძლება ითქვას, რომ მობილური ტელეფონი სოციალური სტატუსის საკითხში და ქალთა დამოკიდებულებაში პრაქტიკულად ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ძვირფასი ავტომობილი.

თუ რამდენიმე წლის წინათ მობილური ტელეფონი ფუფუნება იყო და მასზე ხელი ბევრს არ მიუწვდებოდა, დღეს უკვე ზოგს ერთი ტელეფონიც არ ყოფნის. ანალიტიკოსების ინფორმაციით, მომხმარებელთა 15 პროცენტი ერთდროულად ორ ტელეფონს ატარებს.

როგორც ჩანს, რაც უნდა სრულყოფილი იყოს მობილური, მომხმარებელს უფრო მეტი სურს.

### „დაიბანეთ ხელები ჭამის წინ“

**ყველამ ვიცით, რომ ქუჩაში თუ სახლში გარშემორტყმული ვართ ბაქტერიებით, რომლებსაც ყველანაირად ვებრძვით.** მეცნიერთა მტკიცებით, ყველაზე საშიში და დამაავადებელი მიკროორგანიზმები ქუჩაში, ან საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში გვხვდება. მეცნიერებმა მაინც გადაწყვიტეს გადაემოწმებინათ ეს მოსაზრება და კიდევ ერთი ექსპერიმენტი ჩაატარეს — შეისწავლეს „საშიში“ საყოფაცხოვრებო ნივთები. გამოკვლევით, რომელიც „დიალ ა-ფონმა“ ჩაატარა, აღმოჩნდა რომ ყველაზე „ჭუჭყიანი“ ჩვეულებრივი მობილური ტელეფონია, რომელსაც ხშირად მოვიხმართ. ბაქტერიების (მათ შორის ყველაზე საშიშთაძ რაოდენობით, მან გაასწრო კლავიატურას, კარის სახელურს, ფეხსაცმლის ლანჩასა და, თქვენ წარმოიდგინეთ, საპირფარეშოსაც კი. ასე რომ, დროა დავფიქრდეთ იმ ნივთის დეზინფექციაზე, რომელიც მუდმივ და მთავარ მოკავშირედ გვევლინება. ვისაც, არ სურს თავი შეიწუხოს, თავისი მობილურის სპირტით წმენდით, მათ გაუმართლათ, რადგან „მოტოროლამ“ ანტიბაქტერიული მობილურები გამოუშვა.

### საშიშია?

**ადამიანის ჯანმრთელობაზე მობილურების პოტენციურ საშიშროებაზე მისი გამოგონების დღიდანვე ლაპარაკობენ.** როგორც იქნა მეცნიერებმა გადაწყვიტეს დაეწყნარებინათ მომხმარებლები — მობილური ტელეფონების ხმარებამ არ შეიძლება ონკოლოგიური დაავადებების გამოიწვიოს! ამგვარ დასკვნამდე უდიდესი დაკვირვების შემდეგ მივიდნენ. გამოიკვლიეს 420 095 მობილურის მომხმარებელი, რომლებიც მობილური ტელეფონის პირველი მომხმარებლები იყვნენ 1982-დან 1995 წლამდე.

ბევრი ფიქრობდა, რომ მობილური ტელეფონების ფართო მოხმარება ცუდად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. კერძოდ, მობილური ტელეფონის გამოსხივება ცუდ გავლენას ახდენს ადამიანის ტვინსა და კისრის მალებზე. თუმცა მეცნიერებმა მობილური ტელეფონის ხმარებისას გამოსხივებასა და ონკოლოგიურ დაავადებას შორის კავშირი ვერ აღმოაჩინეს. ამიტომაც ისინი, ვინც მხოლოდ სამ წუთს საუბრობენ მობილურზე და ისინიც ვინც „ხელიდან არ უშვებენ“ მობილურს, ერთნაირი რისკის ქვეშ დგანან.

### კაცობრიობის ყველაზე საშინელი გამოგონება

**ჟურნალ „ბბს ფოკუს“-ის გამოკვლევებით, რეიტინგში „კაცობრიობის ყველაზე მავნე გამოგონება“, მეორე ადგილს მობილური ტელეფონი იკავებს. გამოკითხულთა აზრით, მასზე მავნე ცეცხლსასროლი იარაღია.** 4164 გამოკითხულიდან 35 პროცენტი ყველაზე საშინელ გამოგონებად მიიჩნევს. მობილური ტელეფონი ბოროტების ზეობად 17 პროცენტს მიიჩნია. მესამე ადგილზეა ატომური ენერგია და ტელევიზორი, მათ დააგროვეს 9 პროცენტი. მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა ავტომანქანები და სიგარეტი (6 %ძ, სამი პროცენტის აზრით — სწრაფი კვება და ვიდეოთვალი გზებზე.

ყველაზე პოპულარულ სიტყვად სპეციალისტების მტკიცებით არის — „სმს“-ი. თუმცა ამაში გასაკვირი არაფერია, 2005 წლის შემდეგ ხომ მობილურის მომხმარებლებმა მთელი მსოფლიოს მაშტაბით ერთი ტრილიონი სმს — მოკლე ტექსტური შეტყობინება გაგზავნეს.

ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ადამიანები უკვე დამოკიდებულნი არიან ტექნიკაზე. სწრაფვა მუდამ „იყო კავშირის არეში“, ადამიანებს მოთხოვნილებად გადაექცათ. ტელეფონებს ვერ ველევით კინოში, თეატრში, შეხვედრებზე, ბუნებაში. მობილური ტელეფონის წყალობით ერთმანეთს გადაეჯაჭვა სამსახური და პირადი ცხოვრება, მოუცლელობის მიუხედავად, მუდამ შეგიძლია დაუკავშირდე საყვარელ ადამიანს და მოაგვარო უამრავი პრობლემა.

**ოლღა ცისკარიშვილი**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 899 32-85-76; 98-65-87

# განსჯა

● ჩანს, საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ კვლავ შენარჩუნება ბუნებრივად, კანონზომიერად ეჩვენება. მაგრამ, ასე არ უნდა ფიქრობდეს ქართული საზოგადოებრიობა და იგი, მოსახლეობის ფართო ფენებზე დაყრდნობით, უნდა შეეცადოს აღნიშნული ტერმინის აღკვეთას



◎ თემა

# ეს მოუშორებელი ტერმინი: „სამხრეთ ოსეთი“

**ცხადია, რომ ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოს დამოუკიდებელი ხანის ისტორიის მანძილზე ქართულ სიტყვათხმარებაში არ არსებულა. საქართველოში ცარისტული რუსეთის მმართველობის დროს (1842 წლიდან) გაჩნდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული — ოსეთის ოკრუგი, 1859 წლიდან კი იგი ოსეთის უბნის („უჩასტოკის“) სახით გორის მაზრის შემადგენლობაში იმყოფებოდა.** ორივე მათგანი — ოსეთის ოკრუგი და ოსეთის უბანი, ცხადია, მოიცავდა მცირე ტერიტორიას. მაგრამ მას შემდეგ, რაც (1922 წლიდან) საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა სამხრეთ ოსეთის



ავტონომიური ოლქი, მან ფართო ტერიტორია მოიცვა და სახელიც შესაბამისი დაიმკვიდრა.

ასე რომ, დაიკარგა შიდა ქართლის ბარისა და მთისწინეთმთიანეთის მნიშვნელოვანი ნაწილის ტრადიციული სახელწოდება „შიდა ქართლი“. ისევე, როგორც უფრო კონკრეტული ქსნისხევის, სამაჩაბლოსი, საფალავანდოსი და ა. შ. უფრო უწინ, მოგეხსენებათ, მსგავსი ბედი გაიზიარა საქართველოს ერთ-ერთმა შემადგენელმა მხარემ დვალეთმა, რომელიც საკუთრივ ოსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

ჩანს, საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ კვლავ შენარჩუნება ბუნებრივად, კანონზომიერად ეჩვენება. მაგრამ, ასე არ უნდა ფიქრობდეს ქართული საზოგადოებრიობა და იგი, მოსახლეობის ფართო ფენებზე დაყრდნობით, უნდა შეეცადოს აღნიშნული ტერმინის აღკვეთას.

გავიხსენოთ ის ამბავი, როცა ჩვენი ისტორიული ბედუკუღმართობით ქვემო ქართლს ერთ დროს „ბორჩალოს“ უწოდებდნენ, რაც ოფიციალურად რუსეთის ხელისუფლებამაც დაამკვიდრა. ცნობილია, რომ 1880 წლიდან მთელ ამ მხარეს „ბორჩალოს მაზრა“ ეწოდა, რაც გრძელდებოდა საბჭოთა პერიოდშიც (1929 წლამდე). მაგრამ, საბედნიეროდ, მსგავს ისტორიულ უსამართლობას ბოლო მოეღო.

ჯავახეთში დუხობორების ჩასახლების შემდგომ იყო ცდები ამ მხარისათვის „დუხობორია“ ეწოდებინათ, მაგრამ მსგავსმა მცდელობამ ფეხი ვერ მოიკიდა. რაკი, კვლავ ისტორიული ძნელბედობის წყალობით, მათ შორის ქართველი ბოლშევიკების ბედოვლათობით, საინგილო (როგორც შენიშნავენ, ეს ტერმინი არასწორია და მის ნაცვლად „აღმოსავლეთ ჰერეთის“ ხმარება უფრო უპრიანია) აზერბაიჯანის შემადგენლობაში აღმოჩნდა, ქართული ცნობიერება ვერა და ვერ ურიგდება მხარის ტრადიციული სახელწოდების დაკარვას და მას, ცხადია, ჩრდილო-დასავლეთ აზერბაიჯანად არ მოიხსენიებს.

სწორედ ასევე, ჯავახეთი ჩრდილო-დასვლეთ სამხრეთად არ მოიხსენიება თვით დაშნაკურად განწყობილ სომეხთა მხრივ და მას „ჯავახს“ უწოდებენ.

მაშ, ბოლოს და ბოლოს, რა გაგვიხდა „სამხრეთ ოსეთი“? ნუთუ ამ შემთხვევაში აქ მცხოვრები რამდენიმე ათეული ათასი ოსისახირებასთან გვაქვს საქმე? რასაკვირველია, ამაშიც, ისევე როგორც საერთოდ ამ რეგიონში საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვის შემთხვევაში, კვლავ რუსეთის ხელი იგრძნობა. სხვანაირად, აქაური ოსობა შეელეოდა ჩვენთვის დიდად უსამართლო ტერმინის ხმარებას და დასჯერდებოდა „ოსეთს“ (ჩრდილო ოსეთის ფარგლებში).

რაკი სიტყვა რუსეთზე ჩამოვარდა, ურიგო როდი იქნება ისტორიის შესაბამისი ფაქტების გახსენება.

ძველი და საშუალო თაობის ქართველებს მშვენივრად გვახსოვს, რომ არსებობდა ასეთი მოკავშირე რესპუბლიკა — კარელია-ფინეთის სსრ. ხრუშჩოვის ზეობისას მან დაჰკარგა აღნიშნული პოლიტიკური სტატუსი და ავტონომიურ რესპუბლიკამდე ჩამოქვეითდა. ცხადია, ეს მოხდა ისე, რომ მის მოსახლეობას არ შეჰკითხვიან. მაგრამ ამას თავი დავანებოთ, ამჯერად სახელწოდებიდან ამოვარდა „ფინეთი“, რაც მოხდა იმიტომ, რომ ფინელებს პრეტენზია არ ჰქონოდათ შესაბამის ტერიტორიაზე.

ასევე კარგად გვახსოვს ტერმინ „ბურიატ-მონღოლეთის“ ბედ-იღბალიც — შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის სახელწოდებიდან „მონღოლეთი“ ამოაგდეს. გასაგებია რატომაც? რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობას და, საერთოდ, რუსებს არ სურდათ, რომ ამ ფაქტით მონღოლებს საფუძველი ჰქონოდათ ხსენებული ტერიტორიის შემოერთებისა. ასევე, რუსები არ დათანხმდებიან, რომ სამხრეთში, მონღოლეთში, არსებობდეს „სამხრეთი ტუვა“.

ვიცით ისიც, რომ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში არსებობდა ვოლგისპირეთის გერმანელთა ავტონომიური რესპუბლიკა, მაგრამ ამ ფაქტიდან გამომდინარე, რუსებს იმხანად არ დაუშვიათ თავიანთ სიტყვათხმარებაში ტერმინები — „ვოლგისპირეთის გერმანია“ და „ვოლგისპირელი გერმანელები“.

მეტსაც მოგახსენებთ, ამჟამინდელი კალინინგრადის ოლქი რომ ჩრდილო-აღმოსავლეთი პრუსია გახლავთ, ეს ძალიან ბევრმა იცის. მაგრამ რუსები, მათი ხელისუფლებითურთ, რომ იტყვიან, ცოცხალი თავით არ დასთმობენ ძველი, ისტორიულად სავსებით გამართლებული ტერმინის გაცოცხლებას.

ანალოგიურად მოიქცევიან პოლონელები, რომელთაც ასევე აღმოსავლეთ პრუსიის ნაწილი უკავიათ.

მაშ რაშია საქმე? იმაში, რომ რუსებს ამ შემთხვევაშიც აზროვნებისა და ქცევის ორმაგი სტანდარტი ახასიათებთ: რაც თვითონ აძლევთ ხელს, ის გამართლებულია, რაც არა, — თუნდაც აბსოლუტური სწორი იყოს, ის გაუმართლებელი გახლავთ.

ვიმედოვნებ, რომ რაკი, საბედნიეროდ, თვითონ ე. წ. სამხრეთელ ოსობაში გაჩნდა ერთი, გონიერი ნაწილი, რომელიც ჩვენთან თანამშრომლობს და ცდილობს თვალი გაუსწოროს ისტორიულ სამართლიანობას, იგი სათანადოდ გაითვალისწინებს ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ უხერხულობას და შეეცდება თუნდაც კომპრომისულ ვარიანტზე — „ცხინვალის რეგიონზე“ დათანხმდეს.

**გურამ ყორანაშვილი**

---

საქმე №2-263

## განჩინება

**საქართველოს სახელით**

**კრედიტორთა პირველი კრებისა და კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი კრების ჩატარების შესახებ**

14 აგვისტო 2007 წელი ქ. რუსთავი

**რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნატა თედეშვილი, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ს/ს „მშენებელის“ მიმართ საკითხი კრედიტორთა პირველი კრებისა და კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი კრების ჩატარების თაობაზე.**

**დაადგინა:**

1. მოწვეული იქნეს კრედიტორთა პივრელი კრება 2007 წლის 31 აგვისტოს 10 საათზე რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობაში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. №6ძ;
2. კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი კრება ჩატარებული იქნეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობაში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. №6ძ 2007 წლის 31 აგვისტოს 13 საათზე;
3. განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები გამოქვეყნდეს გაზეთებში: „საქართველოს რესპუბლიკა“ და „რუსთავი დღეს“, აგრეთვე სასამართლო დაფაზე;
4. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა 12 დღის განმავლობაში რუსთავის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით.

**მოსამართლე ნ. თედეშვილი**

---

**სააქციო საზოგადოება „ცენტრალური სუპერმარკეტის“ დირექცია გაცნობებთ, რომ მოვაჭრეებზე 100 ლარის ოდენობით კომპენსაციების გაცემა დაიწყება ა. წ. 5 სექტემბრიდან, ინფორმაციას გაცემის ადგილისა და პირობების შესახებ გაცნობებთ დამატებით.**

**სს „ცენტრალური სუპერმარკეტის“ დირექცია**

---

◎ ინფორმაცია

## უმდიდრესი ყაზახები ჩვენს პენსიონერებს აჯარიმებენ

**„ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაცია“ და „ქართული დასი“ სპეციალურ კომისიას ქმნიან, რომელიც გაზგამანაწილებელი კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ აბონენტთა დაჯარიმების კონკრეტულ ფაქტებს შეისწავლის.**

როგორც „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ოფისის წინ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „ქართული დასის“ ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ განაცხადა, კომპანიის ინკასატორები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96-ე მუხლის ხარვეზებს ბოროტად იყენებენ, რაც იმაში გამოიხატება, რომ 38-ლარიანი პენსიის მქონე უამრავი მოქალაქე 600 ლარით ჯარიმდება.

— ეს ადამიანები სრულიად უკანონოდ ჯარიმდებიან. ჩვენ საკონსტიტუციო სასამართლოში შევიტანთ სარჩელს, რომელიც კანონის ამ ხარვეზს აღმოფხვრის და დაზუსტდება, რა შემთხვევაში ითვლება კანონის დარღვევად მრიცხველის ცუდი მუშაობა. თუ მრიცხველი თავისით გაფუჭდა, 38-ლარიანი ულარიბესი თბილისელი პენსიონერი რატომ უნდა დააჯარიმოს უმდიდრესმა ყაზახმა? — აღნიშნავს ბაღათურია.

მისი თქმით, კონკრეტულ დაზარალებულ პირებთან დაკავშირებით ინდივიდუალური სარჩელებიც მომზადდება.

„ადმიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციის“ ხელმძღვანელის გიორგი ლაღიძის განცხადებით, კომისია მუშაობას დღეიდან შეუდგება და მოქალაქეებისა და იურიდიული პირების დაჯარიმების ყველა მსგავს ფაქტს შეისწავლის.

**ინტერპრესნიუსი**

---

## სააქციო საზოგადოება „ბაკას“ საყურადღებოდ!

**სააქციო საზოგადოება „ბაკას“ აქციათა 95,005 პროცენტს შპს „ალიანსი-6“ ფლობს, ხოლო 4,995 პროცენტს 167 აქციონერი, რომლებიც არანაირ თანამონაწილეობას არ იღებენ სააქციო საზოგადოების მუშაობაში. ამასთან, აქციონერთა სიმრავლის გამო საზოგადოების მართვა მოუქნელია და დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული.**

საქართველოს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 54/4 მუხლის შესაბამისად, შპს „ალიანსი-6“ აცხადებს სააქციო საზოგადოება „ბაკის“ აქციათა სავალდებულო მიყიდვის პროცესის დაწყების შესახებ.

**პირობების დასაზუსტებლად შეგიძლიათ მიმართოთ შპს „ალიანსი-6“-ის ხელმძღვანელობას: ქუთაისი, ზ. გამსახურდიას 60. ტელ. 7-59-06.**

# ბოლო გვერდი

● დასასრულს ერთი მოსაზრებაც მინდა გამოვთქვა. დიდუბის ქუჩას (ისედაც გვაქვს დიდუბის რაიონი), ვფიქრობ, უნდა მიეკუთვნოს ლეგენდარული კალათბურთელის და მწვრთნელის ოთარ ქორქიას სახელი, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნე ცხოვრობდა ამ ქუჩის ნომერ 4-ში



**◎ გვწერენ**

## ალბათ უნდა გვცოდნოდა

**20 ივლისის „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაისტამბა ნოდარ კობერიძის წერილი სათაურით „სასურველია ელიავას ქუჩას ნოდარ ახალკაცის სახელი ეწოდოს“.**



ნოდარ კობერიძეს მინდა შევახსენო, რომ ელიავას ქუჩა დიდი ხანია აღარ არსებობს და ამ ქუჩას გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს რაფიელ აგლაძის ქუჩა ჰქვია.

შემორჩენილია ძველი ტერმინი – „ელიავა“ და „ელიავას ბაზრობა“. ასე რომ, ნოდარ კობერიძეს უნდა სცოდნოდა, რომ ამ ქუჩას თითქმის ათი წელიწადია, რაც რ. აგლაძის სახელი ეწოდება.

ისე კი, სასურველი იქნებოდა, ნოდარ ახალკაცის სახელი სტანისლავსკის (დიდუბე) ქუჩისთვის მიეკუთვნებინათ, რადგან მაიაკოვსკის ქუჩას ეწოდა ლეგენდარული დავით ყიფიანის სახელი (სხვა საკითხია, რამდენად მიზანშეწონილად გადაწყვიტეს ასე). დამეთანხმებით, საქართველოსთვის დიდმა ნოდარ ახალკაცმაც უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე სტანისლავსკიმ...

დასასრულს ერთი მოსაზრებაც მინდა გამოვთქვა. დიდუბის ქუჩას (ისედაც გვაქვს დიდუბის რაიონი), ვფიქრობ, უნდა მიეკუთვნოს ლეგენდარული კალათბურთელის და მწვრთნელის ოთარ ქორქიას სახელი, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნე ცხოვრობდა ამ ქუჩის ნომერ 4-ში.

**ვაჟა ჭიაურელი**

**◎ ინფორმაცია**

## პატიმარი ტუბერკულოზით გარდაიცვალა

**იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში პატიმარი მამუკა შ. გარდაიცვალა.**

როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამსახურიდან იტყობინებიან, ავადმყოფს დასმული ჰქონდა დიაგნოზი: ფილტვების ინფილტრაციული ტუბერკულოზი რღვევით ფაზაში - მოთესვით ორივე ფილტვში, მგბ დადებითი, ტოქსიკური ჰეპატიტი, ღვიძლის ციროზი, ასციტი, ფილტვ-გულის უკმარისობის II-III ხარისხი. ექიმების პირველადი დასკვნით, პატიმრის გარდაცვალების მიზეზი ტუბერკულოზური ინტოქსიკაციის ფონზე განვითარებული ფილტვ-გულის მწვავე უკმარისობა გახდა.

მამუკა შ. 2006 წლის 23 ოქტომბერს ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს. მას 7 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი.

## ყალბი დიპლომის გამცემი ლექტორი დააკავეს

**შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის ინსტიტუტის ლექტორი ლალი ქევხიშვილი დააკავეს.**

სამინისტროს ინფორმაციით, მან მოქალაქეს 1600 დოლარის სანაცვლოდ, ამავე ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულის ყალბი დიპლომი დაუმზადა.

აღნიშნული დანაშაული, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის თანახმად, 6 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## ტრაგედია მოსკოვში

**მოსკოვთან ახლოს მომხდარ ავტოავარიაში ოთხი ადამიანი დაიღუპა, მათ შორის ერთი ბავშვია, ექვსმა კი სხეულის დაზიანება მიიღო.**

როგორც „რია ნოვოსტი“ იუწყება, გუშინ ადგილობრივი დროით 08:00 სთ-ზე კაშირსკის ტრასის 113-ე კილომეტრზე, მდინარე ოკას ხიდზე ერთმანეთს 35 მანქანა შეეჯახა.

– ერთმანეთს შეეჯახა როგორც საბარგო, ასევე მსუბუქი მანქანები, – განაცხადა შინაგან საქმეთა მოსკოვის სამმართველოს წარმომადგენელმა.

შემთხვევის ადგილზე მოძრაობა მთლიანად ბლოკირებული იყო. წინასწარი მონაცემებით, ავტოავარია გზაზე ჩამოწოლილმა ნისლმა გამოიწვია.

**ინტერპრესნიუსი**

**◎ სტიქია**

## მექსიკას დამანგრეველი ქარიშხალი უახლოვდება

**რუსული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, სპეციალისტებმა, რომლებიც ქარიშხლის გადაადგილებას მთელი ღამის განმავლობაში აკვირდებოდნენ, მას საფრთხის ყველაზე მაღალი – მეხუთე კატეგორია მიანიჭეს.**

ქარიშხლის ეპიცენტრში ქარის სიჩქარე 257 კმ/სთ-ს აღწევს და იგი ოკეანის ტალღებს ექვსი მეტრით მაღლა სწევს, ვიდრე ეს სხვა ქარიშხლების დროს ხდება.

საინფორმაციო სააგენტო „როიტერის“ ინფორმაციით, ქარიშხალი პირველად ნახევარკუნძულ იუკატანს დაატყდება, სადაც მოახლოებული სტიქიის გამო უკვე დაიწყო ძლიერი წვიმა. ამასთან დაკავშირებით, საკურორტო ზონა სასწრაფოდ დატოვა რამდენიმე ათასმა ტურისტმა. უახლოეს საათებში შეჩერდება საერთაშორისო აეროპორტების მუშაობაც.

მექსიკის ყურეში ნავთობმომპოვებელი სამუშაოებიც შეჩერდა. ადგილიდან ევაკუირებულია 18 ათასი თანამშრომელი. ამის გამო ნავთობის მოპოვება 2.7 მილიონი ბარელით შემცირდება, გაზის კი – დღეში 73,6 მილიონი კუბური მეტრით.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ აღნიშნული ფაქტის გამო ნავთობის ფასი მსოფლიო ბაზარზე კვლავ გაიზრდება.

**ინტერპრესნიუსი**

**◎ ანეკდოტები**

**– წინა სამუშაოდან რატომ წამოხვედი?**

**– დაღლილობის გამო.**

**– როგორ თუ დაღლილობის?**

**– რა ვიცი, სულ იმას მეუბნებოდნენ, შენ ძალზე დაგვღალეო!**



*** * ***

**– ქალბატონო, რამდენი შვილის ყოლას აპირებთ?**

**– ოთხის!**

**– მეხუთეზე რას იტყოდით?**

**– არავითარ შემთხვევაში! სადღაც ამოვიკითხე, რომ დედამიწაზე ყოველი მეხუთე ახალშობილი ჩინელიაო!**

*** * ***

**ვერ გამიგია, მამაკაცები ასე დაჟინებით რატომ სთხოვენ ქალებს ხელსა და გულს? შემდეგ მათ ხომ პრაქტიკულად აღარ იყენებენ.**

*** * ***

**ცოლი ქმარს გაშორდა. დედასთან მისული ეუბნება მას:**

**– დედა, როგორც კი სახლიდან გამოვედი, სროლის ხმა გაისმა, ნუთუ მან თავი მოიკლა?**

**– არა, სულელო, მან შამპანური გახსნა!**

*** * ***

**ბავშვი ერთადერთი ნივთია ოჯახში, ხელით რომ უნდა გაირეცხოს!**

*** * ***

**მიტინგზე ნასვამი კაცი გაჰყვირის:**

**– ხალხო, გვატყუებენ! სულ გვატყუებენ! – შოტლანდიაში არაყი სკოტჩია. ჩვენთან კი, გესმით, სკოტჩი – საიზოლაციო ლენტია!**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 899 32-85-76; 98-65-87

**◎ კადრი**



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 12. ტ: 98-65-87.
შპს „თანადგომა -1“ ქიზიყის ქ. № 12. ტ: 899 797679;

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი
ოთარ ტურაბელიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №12.
მთავარი რედაქტორი: 899 56-81-86
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
899 53-76-16; 899 36-00-35.
სარეკლამო განყოფილება: 98-65-87. 899 32-85-76

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.